


675.

178  
1926



პბოლუტარზო ყვოლ ძვეყნისა, შერტლით!



# საბჭოთა სამართალი



№ 1

შინაარსი

1926 წ.  
მარტის 20.

- ი. ვარძიელი.—ჩვენი ჟურნალის ამოცანები.
- ა. კაჭარავა.—საბჭოთა სასამართლო საქართველოს გასაბჭოების ბუთი წლის თავზე.
- ი. ვარძიელი.—საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა ახალი კოდექსის პროექტი.
- კ. შიქელაძე.—სასამართლოს შემოქმედება სამართლის სფეროში.
- ა. აღზოვი.—სისრულეში მოყვანა სასამართლოს გადაწყვეტლებისა, რომლითაც მოპასუხეს განსაზღვრული ვადა აქვს მიცემული ნებაყოფლობითი შესრულებისათვის.
- ხ. ჯაფარიძე.—წინააღმდეგობა კანონში.  
უზენაეს სასამართლოს მოღვაწეობიდან.  
იურიდიული საზოგადოების მოღვაწეობიდან.  
ბიბლიოგრაფია.  
ოფიციალური ნაწილი.

რედაქციის და კანტორის მისამართი:  
თფილისი. ტკიზუნალის (ყოფ. სასამართლოს) ქ. № 32. ელსმ. 15—81.



გ ა მ რ ც ე მ ა

ს. ს. ს. რ. იუსტიციის სახალხო კომისარიატის  
და იურიდიული საზოგადოებისა





# ს ა ბ ჯ ო ტ ა

# ს ა მ პ რ ტ ა ლ ი

№ 1.

1926 წ. მარტის 20.

№ 1.

## ჩვენი უკიდურესი პარტია.

674.

საბჭოთა სამართალი თვისი არსებობის დღიდან 8 წლის განმავლობაში საერთოდ და 5 წლის ჩვენში, განუწყვეტლივ იზრდებოდა და ვითარდებოდა და ამ ზრდა-განვითარების დროს მასში სისწორით ისახებოდა საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო და შინაური ცხოვრების სხვადასხვა მომენტი. იმ დღიდან, როდესაც საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა, ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით, სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში შევიდა, საქართველოში მომქმედი ნორმების სისტემა მეტად გამდიდრდა და გართულდა. აი აქ, ამ ნიადაგზე, მთელი თავის სიმწვავით წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, რომ საკავშირო, ფედერატიული და რესპუბლიკანური კანონები ერთნაირად, შეთანხმებულად იყვნენ შეფარდებული. ამ მეტად რთული, მეტად ძნელი მიზნის მიღწევისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ იუსტიციის მუშაკებმა გაგვიზიარონ ის გამოცდილება, რომელიც მათ შეიძინეს ჩვენი კანონების შეფარდების დროს. ეს მით უფრო საჭირო და შესაძლებელია ეხლა, როდესაც უკანასკნელი წლების საერთაშორისო და ეკონომიური პოლიტიკისთან დაკავშირებით იურიდიული ზედნაშენი ცოტათ თუ ბევრათ განმტკიცებულია.

გართულებული ეკონომიური და მასთან ერთად პოლიტიკური და უფლებებრივი ურთიერთობანი სულ უფრო და უფრო მეტს მოითხოვენ ჩვენგან. ყოველი საკითხი, ამ ურთიერთობის ნიადაგზე წამოჭრილი, უნდა გადაწყვეტილ იქნეს იმ საერთო საფუძვლებისა და სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, რაც ასულდგმულებს სახელმწიფოს პოლიტიკას, როგორც კლასთა პოლიტიკას.

თუმცა მრავალ ფეროვანია ჩვენი კანონმდებლობა, თუმცა ათასნაირი შინაარსისაა ჩვენი კანონები, მაგრამ ყველა ისინი გამსჭვალულია ერთი მიზნით—განამტკიცონ გაბატონებული კლასის სოციალური და ეკონომიური ძლიერება; ამიტომ საბჭოთა სამართლის ღრმა, საფუძვლიანი შესწავლა, მისი პრინციპების შეგნებული შეთვისება უტყუარ საშუალებას მოგვცემს იმ ამოცანის გა-

დასაწყვეტად, რაც ამ ჟამად დაკისრებული აქვს საბჭოთა კანონმდებლობას და იუსტიციას. აქედან აშკარაა ჩვენი ურუნალის დანიშნულება და მიზანი: ყოველი უფლებებრივი საკითხი, ჩვენი ყოველდღიური პრაქტიკით წამოყენებული, მომქმედი კანონის ცხოვრების სინამდვილესთან შეფარდებით, აქ, ამ ურუნალში უნდა ჰპოვებდეს პასუხს, ნაკარნახევს მუშურ-გლეხური სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიური ამოცანებით.

ჩვენი სასამართლო ორგანოები თავის ყოველდღიურ საქმიანობაში მრავალი საკითხის გადაწყვეტის დროს ხელმძღვანელობენ არა მარტო მომქმედი კანონებით, არამედ რევოლიუციონური სამართლის შეგნებით. ეს წარმოადგენს პროლეტარული სასამართლოს უდიდეს, შემოქმედებით მუშაობას და მისი გაშუქება, მისი ცხადყოფა უნდა შეადგენდეს ჩვენი ურუნალის ერთ-ერთ დიდი მნიშვნელობის ამოცანას.

სამართალი წინათ სრულიად უცხო და მიუწდომელი იყო მუშებისა და გლეხების ფართო წრეებისათვის. იგი ოქტომბრის რევოლიუციამდე წარმოადგენდა მშრომელთა ჩაგვრის იარაღს, ხოლო ოქტომბრის რევოლიუციამ იგივე სამართალი გადააქცია მუშებისა და გლეხების გამანთავისუფლებელი ბრძოლის საშუალებად. აი ამ შეგნებით უნდა გაიმსჭვალოს ყოველი მუშა და გლეხი და მხოლოდ მაშინ შესძლებენ იგინი საგსებით გამოიყენონ ყველა ის უფლება, რაც მათ მოიპოვეს რევოლიუციით, მხოლოდ მაშინ შესძლებენ თავისი სასამართლოს დაფასებას. მაშასადამე ჩვენმა ურუნალმა საპატიო ადგილი უნდა დაუთმოს საბჭოთა სამართლის პოპულარიზაციის საკითხებს. ურუნალი მიზნად ისახავს გააშუქოს რევოლიუციონური კანონიერების საკითხები, რაც პარტიულ და საბჭოთა ორგანოების, უპირველეს ყოვლისა კი საბჭოთა იუსტიციის უწყების დღის წესრიგშია.

ურუნალმა უნდა მოგვცეს რევოლიუციონური კანონიერების სწორი გაგება, უნდა გადაათვალიეროს ყველა



ის მეთოდი, რითაც დღეს ეს კანონიერება ტარდება ცხოვრებაში, გამოარკვიოს მათი ავკარგიანობა და ყოველი ღონე იხმაროს მათ ვასაუმჯობესებლად. უნდა ცხად-ჰყოს აგრეთვე ყოველივე შესაძლებელი დამახინჯება ამ სფეროში. გარდა ამისა ჟურნალის დანიშნულებაა ყოველ-მხრივ გააშუქოს როგორც იუსტიციის საზ. კომისარია-ტისა და მისი ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანო-თა მოქმედება, ისევე იურიდიული საზოგადოების და დამცველთა კოლეგიის მოღვაწეობა, დაბოლოს, მიაწოდოს იუსტიციის მუშაკთ საჭირო საკანონმდებლო, საინ-სტრუქციო და სახელმძღვანელო მასალა, რომელსაც ად-გილს დაუთმობს თავის ოფიციალურ ნაწილში. და ყვე-ლა ამით ჩვენი ჟურნალი არა მარტო გაუმახვილებს იუს-ტიციის პრაქტიკულ მუშაკს გონებას, არა მარტო გაუ-ფართოებს მას მხედველობის არეს და გადაუშლის შეგ-

ნებული აღმშენებლობის ფართო ასპარეზს, არამედ მიად-წევს კიდევ ერთს, მეტად მნიშვნელოვან მიზანს: შეაკავ-შირებს ორგანიზაციულად და იდეურად იუსტიციის ყვე-ლა მოღვაწეს, შეამჭიდროებს და განამტკიცებს მათ რი-გებს იმისათვის, რომ მათ თავისი ამხანაგური, შეთან-ხმებული შრომით, მუშურ-გლენური სახელმწიფოს მიზან-ამოცანების სრული შეგნებით ხელი შეუწყონ ჩვენი ქვეყ-ნის განმტკიცებას პოლიტიკურად და ეკონომიურად.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ახალ ჟურნალს ფართო და აქტიურ დახმარებას, როგორც იდეურს, ისე მატე-რიალურს, გაუწევენ იუსტიციის ცენტრისა და ადგილობ-რივი მუშაკნი და ამით გაუადვილებენ მას იმ დიდი და ძნელი საქმის გაკეთებას, რაც მიზნად აქვს დასახული.

ი. ვარძიელი.



## საბჭოთა სასამართლო საქართველოს განსაზღვრების ხუთი წლის თავზე.

საქართველოს მუშებმა და გლეხებმა ამ 5 წლის უკან ხელში ჩაიგდეს თუ არა პოლიტიკური ხელის-უფლება, იმ დღიდანვე შეუდგნენ ძველი სახელმწიფოებრივი აპა-რატის დანგრევას. ძველი მართვა-გამგეობის ორგანოები უნდა შეცვლილიყო მუშათა და გლეხთა ინტერესების დამცველ ორგანოებად. ხელის-უფლებამ თავის დაარსების პირველ დღიდანვე გამოსცა დეკრეტი ძველი სასამარ-თლოების გაუქმებისა და მის ნაცვლად მუშათა და გლეხთა სასამართლოების დაარსების შესახებ.

რევოლიუციის პირველ დღეებში, ჩვენ სახალხო სასამართლოებს გარდა გვქონდა სავანგებო სასამართლოე-ბიც, როგორც იყო, მაგალითად, რევოლიუციონური ტრიბუნალები. ამ ტრიბუნალებმა თავის დროზე უსა-თუოდ შეასრულეს დიდი, — იმ დროისათვის საჭირო — როლი.

მაგრამ 1923 წლის მიწურულში ჩვენ გადავდივართ ერთიან სასამართლოების სისტემაზე, და დღეს 5 წლის თავზე ჩვენ გვაქვს უზენაესი სასამართლო, საოლქო სა-სამართლო, სახალხო სასამართლო, საქართველოს წი-თელი-ჯარის სამხედრო ტრიბუნალი და შრომის სასა-მართლოების სესიები.

### სახალხო სასამართლოებისა და გამომძიებელთა უზენე-ბის რაოდენობა საქართველოში.

უზენაესი სასამართლო საქართველოში არის I, ოლქის სასამართლოები—2: ერთი დასავლეთ საქარ-თველოში და მეორე აღმოსავლეთ საქართველოში, სა-ხალხო სასამართლო უზნები—73, წითელი-ჯარის სამ-ხედრო ტრიბუნალი—I, საგამომძიებლო კამერები: უდიდეს საქმეთა—3, უფროს გამომძიებელთა—15, სახალხო საგამომძიებლო უზნები—57; სანოტარო კანტორები—11 და სასამართლოს აღმასრულებლები—47. 73 უბანში მუშაობს 91 სახალხო მოსამართლე.

### ოლქისა და სახალხო სასამართლოების შემადგენლობა სოციალური მდგომარეობის მიხედვით

ოლქის სასამართლოს წევრებია—28; მათში ს. კ. პ. წევრები—24, უპარტო—4, უმაღლეს განათლებით—5,

საშუალო განათლებით—8, დაბალი განათლებით—15, მუშები—9, გლეხები—6, ინტელიგენტი—13. სახალხო მოსამართლეებია—91, მათში ს. კ. პ. წევრები—70, პარტიის კანდიდატები—5, უპარტოები—16, უმაღლეს განათლებით—3, საშუალოთი—22, დაბალი განათლებით—66, მუშები—27, გლეხები—13, ხელოსნები—18, ინტე-ლიგენტი—33.

როგორც ზევით მოყვანილ ცნობებიდან სჩანს, დღევანდელ სასამართლოს სათავეში უდგას რევოლიუ-ციონერები (სასამართლოს შემადგენლობაში მყოფი უპარტო მოსამართლენი სავსებით აკმაყოფილებენ საბ-ჭოთა მართლმსაჯულების პოლიტიკას). ეს სახალხო მოსამართლეები გამოსულია ხალხის წრიდან, მათ ესმით ადგილობრივი ხალხის კირვარამი, ყოფაცხოვრება და სოციალისტური სამართლგაგება. მართლმსაჯულება სწარმოებს სრულიად გასაგები ენით და მიდგომით ადგილობრივ მუშებსა და გლეხებისათვის. სახალხო მოსამართლეების შემადგენლობა შერჩეულია საუკეთესო და ხალხის ნდობა ჩვენი მართლმსაჯულებისადმი უსა-თუოდ შექმნილია და მტკიცდება კიდევც.

### როგორ მუშაობს ჩვენი სასამართლო.

თუმცა მრავალი სახელმძღვანელო ლიტერატურა და მასთან კოდექსებია გამოცემული, მაგრამ მათი შესწავლა ჩვენ მოსამართლეებს, დროის უქონლობის გამო, მეტად უძნელდებათ. მიუხედავად ამისა ჩვენმა მოსამართლეებმა შეითვისეს საბჭოთა სამართალი და წარმატებით ასრუ-ლებენ თავის საქმეს.

### სახალხო და ოლქის სასამართლოებში შემოსული და გარჩეული საქმეების რაოდენობა.

#### ოლქის სასამართლოებში

1925 წ. 1 იანვრისათვის დარჩენილი იყო სამო-ქალაქო და სისხლის სამართლისხასიათის საქმეები . . . . .	892.
1925 წ. შემოვიდა . . . . .	4.880.
განხილულია და დამთავრდა . . . . .	4.659.



1926 წ. 1-ლ იანვრისათვის დარჩა . . . . .  
დაუმთავრებელი . . . . . 1.113

**სახალხო სასამართლოებში**

1925 წ. 1 იანვრისათვის იყო სისხლ. სამ.  
და სამოქალაქო ხასიათის საქმეები 15.336.  
1925 წელში შემოვიდა . . . . . 97.750.  
განხილულია და დამთავრდა . . . . . 78.853.  
1926 წ. 1 იანვრისათვის დარჩა დაუმ-  
თავრებელი . . . . . 34.233.

1925 წ. იანვრისათვის განუხილველად დარჩენილი საქმეების რაოდენობა რომ შევადაროთ 1926 წ. 1 იანვარში დარჩენილ საქმეებს, მივიღებთ 100% ზედმეტ გადიდებას, ე. ი. უფრო მეტი შემოვიდა განხილულ საქმეებზე. თუ საკიხს ობიექტიურად მიუღებთ, უნდა ითქვას, რომ ჩვენი სასამართლოები თითქმის დღეში 12 საათს მუშაობენ და ამაზე მეტის მოთხოვნა მათგან შეუძლებელია. თუ ჩვენ თავის დროზე არ მივიღეთ სათანადო ღონისძიება აუცილებლად მოხდება საქმეების დაგროვება, რაც დაუშვებელია.

უმთავრესი საშუალება ამის მოსასპობად, ჩვენის ფიქრით, იქნება სახალხო სასამართლოების ქსელის მთელ საქართველოში დაახლოებით კიდევ 24-ით გადიდება. გასული წლის განმავლობაში ოლქის სასამართლოები მთავარ ყურადღებას აქცევდნენ სახალხო სასამართლოებში საქმის წარმოების საუკეთესოდ დაყენების საკითხს. თითქმის დამთავრებულ იქმნა ყველა სახალხო სასამართლო უბნების რევიზია. მოწყობილ იქმნა ადგილებზე სასამართლოს მუშაკთა თათბირი ადგილობრივ თემალმასკომის თავმჯდომარესა და თემმილიციის უფროსის თანდასწრებით. ასეთ თათბირებზე კეთდებოდა მოხსენებები რევოლიუციონურ კანონიერების შესახებ, სასამართლოთა და საგამომძიებლო ორგანოებში მუშაობის შესახებ, დამცველთა კოლეგიის მუშაობის შესახებ და სხვა. დასახელებულმა სასამართლოს მუშაკთა თათბირებმა ჩინებული ნაყოფი გამოიღეს და სასურველია, რომ ასეთი თათბირები მომავალშიაც ჩატარდეს. აგრეთვე ამ ხნის განმავლობაში მოხდა სასამართლოს და საგამომძიებლო ორგანოების უბნებად დაყოფა. ოლქის სასამართლოების სისხლის სამართლისა და სამოქალაქო განყოფილებები, რომლებიც თავის მხრივ განიყოფება საკასაციო და სასამართლო განყოფილებად, ასრულებენ მეტისმეტად რთული ხასიათის მუშაობას.

რადგან უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია სისხლის სამართლის საქმეების განხილვა ადგილებზე—სადაც იყო ღენილი დანაშაული, ამიტომ ოლქის სასამართლოები სისტემატიურად აწყობენ მაზრებში გამსვლელ სესიებს. დღეს თებერვლის რევოლიუციის ხუთი წლის თავზე აღმ. საქ. ოლქის სასამართლოს სესიები თითქმის ყველა აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებში მუშაობს. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, არც ერთი სასამართლოს სხდომა, რომელზედაც არ დასწრებოდა უამრავი რიცხვი ადგილობრივ მცხოვრებლებისა და სასამართლოს განაჩენით არ მიეღოთ მათ უადრესი მორალური კმაყოფილება. გამსვლელი სესიების მოწყობა აგრეთვე გაახშირეს სახალხო სასამართლოებმაც და ადგილებზე ათი-ათასობით არჩევენ გლეხების საქმეებს. სესიებს აქვს დიდი სახელმწიფოებრივი საავტაციო-აღმზრდელი მნიშვნელო-

ბა, და გარდა ამისა აღარც შორეულ ადგილებიდან დაბარებულ მოწმეებს უხდებათ სასამართლოში გამოცხადება, რითაც თავიდან აცილებულია ამ გამოცხადებასთან დაკავშირებული ხარჯები და დაბრკოლება. აღმასკომებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ სესიებს. მათი დახმარების გარეშე სესიების მოწყობა—ძნელია სასამართლოს გამსვლელ სესიების მოწყობა კი აუცილებელია: სასამართლო უნდა დაუახლოვოთ ხალხს, რომელიც ასე აღფრთოვანებით ეგებება ადგილებზე საქართველომართლმსაჯულებას.

გასული წლის განმავლობაში დაახლოებით გამოანგარიშებით ოლქისა და სახალხო სასამართლოების სხდომებს დაესწრო 600.000 კაცი.

შრომითი სესიები კი მტკიცედ ატარებენ ადგილებზე კლასიურ პრინციპს შრომის საკითხის დაცვის საქმეში. უბრალო ცდაც კი შრომის კოდექსის დარღვევისა ან მშრომელთა ექსპლოატაციის სათანადო იყო შეფასებული შრომითი სესიების მიერ და შრომის კანონიერების დამრღვევთ უმასპინძლებოდენ შესაფერისი განაჩენით.

დამცველთა კოლეგიაში მთელ საქართველოში ირიცხება 300 წევრამდე. დამცველთა მუშაობა გამოიხატება იმაში, რომ ისინი კერძო შეთანხმებით გამოდიან სასამართლოებში. დამცველთა კოლეგიის წევრები აგრეთვე ინიშნებიან სასამართლოს მიერ და უსასყიდლოდ ასრულებენ დამცველის მოვალეობას. აგრეთვე უსასყიდლოდ მორიგეობენ საკონსულტაციო კამერებში, სადაც მთხოვნელებს აძლევენ რჩევა-დარიგებას და ღარიბებს უწერენ განცხადებებს. საკონსულტაციო კამერების და უსასყიდლოდ დაცვის შესახებ ცირკულიარული ცნობა მოგვეპოება მხოლოდ ტფილისის მასშტაბით. 1925 წ. განმავლობაში დანიშნის წესით უსასყიდლოდ დაცული იქნა სასამართლოში 1.493 საქმე, იურიდიული დახმარება 10.344 მცხოვრებლებს გაეწია. როგორც ციფრებიდან სჩანს, ტფილისის მოქალაქეებისათვის იურიდიული დახმარების საკითხი მოგვარებულია, მაგრამ სამწუხაროდ ამ დარგში არაფერი არ გაკეთებულა პროვინციაში. ეს კი მთავარია და ამის შესახებ უნდა მიღებულ იქნეს სათანადო ზომები.

**რა უნდა გაკეთდეს უწინარეს ყოვლისა.**

გარდა იმ მნიშვნელოვან საქმიანობისა, რომლის გაკეთება ყოველდღიურად გვიხდება, სასურველია უწინარეს ყოვლისა გაკეთდეს შემდეგი:

- 1) ხშირი, სისტემატიურად ინსტრუქციების მიცემა სახალხო მოსამართლეებსა და გამომძიებლებისათვის. ასეთი მუშაობა უნდა ტარდებოდეს არა ცირკულიარების და ინსტრუქციების წესით, არამედ ადგილებზე პირადი მისვლით და საქმის გაცნობით—ამას უფრო მეტი ნაყოფი მოაქვს, ვინემ დაწერილ ცირკულიარებს;
- 2) სახელმწიფო ენაზე ჩვენი კოდექსების კომენტარიების გამოცემა;
- 3) სხვადასხვა დაფანტულ ცირკულიარებას და მთავრობის განკარგულებების კოდიფიკაცია;
- 4) სახალხო სასამართლოების ქსელის გაფართოება;
- 5) რწმუნებულების ხშირი თათბირი პრაქტიკულ საკითხების განსახილველად;





6) სასამართლოს მუშაკთა სამაზრო და საოლქო თათბირების მოწყობა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მონაწილეობით--დასჯის პოლიტიკისა და სასამართლოს მუშაობის გაუმჯობესებულად მოწყობის შესახებ;

7) თანდათანობითი უკეთესი მუშაკების გადაზანაოლქისა, სახალხო სასამართლოებისა და საგამომძიებლო ორგანოებში, თუ ასეთები ეყოლება იუსტიციის კომისარიატს;

8) სასამართლოს მუშაკთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება;

9) აღმასკომების სათანადო ყურადღების მიქცევა სახალხო სასამართლოებსა და საგამომძიებლო ორგანოებისათვის სათანადო ბინის გამოძებნის შესახებ;

10) იურიდიული თვითგანვითარების წრეების მოწყობა;

11) სისტემატიური და გადამწყვეტი ბრძოლისგამოცხადება ისეთი ხასიათის დანაშაულებისათვის, როგორცაა: გაფლანგვა, მკვლელობა და გაუპატიურება. დასახელებული ხასიათის დანაშაულმა მიიღო ეპიდემიური ხასიათი და ეს უნდა იქნეს გათვალისწინებული;

12) სასამართლოების სისტემატიური მუშაობის შესახებ ცნობების მოთავსება პრესაში.

ჩვენი სასამართლოების თანდათანობითი განვითარება ხუთი წლის პროლეტარულ რევოლუციის განმავლობაში უსათუოდ გვარწმუნებს იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ შექმნილი სახალხო სასამართლოები სდგანან თავის დანიშნულების სიმალლეზე.

ასეთი რწმენით ჩვენ, წითელი იუსტიციის მუშაკები საქართველოში, გადავდივართ მე-6 წელში და საერთოდ კი მუშათა კლასის დიქტატურის მე-9 წელში.

ა. კაკარავა.



# საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა ახალი კოდექსის პროექტი.

## 1. უნდა გაიხსნას დისკუსია.

საქართველოს იუსტიციის სახ. კომისარიატმა გამოიმუშავა საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის წინასწარი პროექტი იმ პრინციპების მიხედვით, რომლებზედაც დამყარებულია რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ამავე კანონთა კოდექსის პროექტი. აღნიშნულ ახალ პროექტში ბევრი ისეთი საკითხია აღძრული, რაც არსებითად ეხება ჩვენი ხალხის ყოფაცხოვრებას, ამიტომ აუცილებლად საჭიროა ეს პროექტი დაწვრილებით, ყოველმხრივ გაიცნოს მშრომელმა მოსახლეობამ და გამოსთქვას თავისი აზრი.

ფართო დისკუსია ამ პროექტის ცალკე მომენტების შესახებ, რომელნიც ღრმად იჭრებიან მუშათა და გლეხთა მასების ყოფაცხოვრებაში, თავის თავად ცხადია მისცემს საშუალებას იუსტიციის კომისარიატს და საკანონმდებლო ორგანოებს საბოლოოდ დამტკიცების დროს ანგარიში გაუწიოს იმ ადგილობრივ ყოფაცხოვრების და ფსიქოლოგიურ მომენტებს, რომელნიც გამოაშკარავდებიან აზრთა გაცვლა და გამოცვლის შემდეგ. კანონის პროექტი ეხება ქალაქისა და სოფლის ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებს, ეხება იმ სოციალურ-საფუძვლებს, რომლებზედაც დამყარებულია ჩვენი გლეხის ოჯახი და ამიტომ ადვილი ვასაგებია, რათ გამოიწვიო რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში ახალმა კოდექსმა ისეთი მწვავე სჯა-კამათი. არ დარჩენილა არც ერთი კუთხე რესპუბლიკაში, რომელიც კი არ გამოხმაურებოდა პროექტით წამოჭრილ საკითხებს; ეს ინტერესი იმდენად ცხოველია, რომ თითქმის ყველა გაზეთში, პროვინციაშიც კი, ამ საკითხის სადისკუსიოდ საგანგებოდ მთელი გვერდი იყო დათმობილი. აქ ჩვენში მხოლოდ ეხლა შეუღლებით საოჯახო და საქორწინო სამართლის შეცვლას და იმედი გვაქვს, რომ აქაც ყველა მშრომელი, ქალი თუ კაცი, ისეთივე ცხოველი ინტერესით შეხედება ამ საკითხებს, როგორც რუსეთში. მართალია, პროექტი ჯერ-ჯერობით არ არის ფართოდ გავრცელებული და ადვილებს ძლიერ ნაკლებად დაეგზავნა (ამ უახლოეს დღეებში პროექტი გამოქვე-

ყნებული იქნება გაზეთში), მაგრამ ადგილობრივ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე და მოკიდებული, რამდენად ძლიერ დააინტერესებენ ამ პროექტით მშრომელ მოსახლეობას, რამდენად აქტიურ მონაწილეობას მიადებინებენ მას პროექტში აღძრული საკითხების ირგვლივ სჯა-კამათში (საწარმოებში, ქალთა კრებებზე, პარტიულ კრებებზე, იურიდიულ ორგანიზაციებში, გლეხთა კრებებზე და სხვ.).

ამ წერილის მიზანია მოკლედ აღნუსხოს ყველა ის ცვლილება, რაც კი, მომქმედ კანონთან შედარებით, შეტანილია ახალ პროექტში.

## 2. მომქმედი კანონი.

ჯერ კიდევ 1921 წლის აპრილის 21-ს საქართველოს რევოლუციონურმა კომიტეტმა თავისი № 28 დეკრეტით ძირიან-ფესვიანი გადატრიალება მოახდინა საოჯახო და საქორწინო კანონმდებლობის სფეროში. ბურჟუაზიულმა კანონმა, თვით მოწინავე ქვეყნებშიც კი, ბოროტად გამოიყენა ქალის უმწეო მდგომარეობა და გადააქცია იგი უფლებო, დამცირებულ არსებად. ბურჟუაზიული ქორწინება, ეს უთანასწორო და განუწყვეტელი ჯაჭვით გადაბმული კავშირი, ყოველივე უპირატესობას ანიჭებს მამაკაცს: ივია ქმრისა და ცოლის ქონებრივი კავშირის ხელ-მძღვანელი, მას აქვს უფლება მიუჩინოს ცოლს საცხოვრებელი ადგილი, თავს მოახვიოს მას თავისი ეროვნება, თავისი გვარი; ყველა საოჯახო საკითხის გადაწყვეტის დროს, შვილების აღზრდის საკითხისა და კი, ქმარს ერთგვარი უპირატესობა აქვს მინიჭებული. მამაკაცის ასეთ უფლებებზე მდგომარეობას, რომელიც ცოლს ქმრის მონადა ხდიდა, მტკიცედ იცავდა ბურჟუაზიული კანონი და ეკლესია.

საბჭოთა ხელისუფლებამ და რევოლუციონურმა კანონიერებამ გადაჭრით უარჰყვეს ძველი ქორწინების პრინციპი და მის მაგივრად საქორწინო და საოჯახო ურთიერთობის სფეროში დაიკავეს თავისი ახალი პოზიცია, რომელიც ჩამოყალიბდა რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში





1918 წელს „სამოქალაქო მდგომარეობის კოდექსად“. ესეთივე ანალოგიური საქორწინო-საოჯახო კანონები გამოიცა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში. ჩვენში კი დეკრეტი № 28.

ყველა ამ ახალ კანონს, გამოცემულს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე თვეებში, უაღრესად დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. მათ უპირველეს ყოვლისა ყოველივე იურიდიული ძალა მოუსპვს საეკლესიო ქორწინებას და მის მაგიერ დააწესეს სამოქალაქო ქორწინება. შემდეგ, სრული უფლებრივი თანასწორობა დაამყარეს როგორც მეუღლეთა შორის, ისე მშობლებ შორისაც. დააკანონეს განქორწინების სრულიად მარტივი წესი, რომლის მიხედვითაც განქორწინება შეიძლება არა მარტო ორივე მეუღლის სურვილით, არამედ ერთი რომელიმე მათგანის სურვილითაც. აღიარეს პრინციპი, თანახმად რომლისა თვითმეუღლეს შეუძლიან იქონიოს თავისათვის ცალკე ქონება, და ბოლოს სრულიად გაათანასწორეს ურეგისტრაციო (ფაქტიური) ქორწინებაში დაბადებული ბავშვი რეგისტრაციამქონილ (იურიდიულ) ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთან ამ პირველმა საბჭოთა კანონმდებლობამ დიდი ღრმა ცვლილება შეიტანა ქორწინებასა და ოჯახში და, თუმცა მან უკვე საკმარისად მოიკიდა ტეხი მშრომელთა ფართო წრეებში, მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ ის ჩამორჩა სოფლად და ქალაქად სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობის თანდათანობით განვითარებას და ამიტომ საქირო შეიქმნა ამ კანონებში ზოგიერთი ცვლილების შეტანა.

**3. რა არის ახალი საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კოდექსის პრაქტიკული.**

1. ახალი კოდექსის აგებულება. ახალი კოდექსის პროექტი იმით განსხვავდება მომქმედ № 28 დეკრეტისაგან, რომ იგი უმთავრეს ყურადღებას აქცევს მატერიალურ მომენტებს, ე. ი. არაკვეს იმ უფლება-მოვალეობას, რასაც ქმნის საქორწინო და საოჯახო ურთიერთობა, იმისდა მიუხედავად, გატარებულია ქორწინება რეგისტრაციაში თუ არა. № 28 დეკრეტის პირველივე მუხლებში გაშუქებულია არა მატერიალური, არამედ ფორმალური მხარე, ე. ი. იგი ის, თუ როგორ უნდა მოეწყოს სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩაწერა. ამ მუხლებს უფრო საინსტრუქციო ხასიათი აქვს. ძველი კანონის ამ გვარი აგებულება შეიძლება აიხსნას იმით, რომ იგი სწორედ მაშინ იყო გამოცემული, როდესაც ეკლესია გამოეყო სახელმწიფოს, და როდესაც მაშასადამე, უწინარეს ყოვლისა, საქირო იყო ძველი საეკლესიო ქორწინების და მისი წესების დანგრევა და ახალი სამოქალაქო (საერო) ქორწინების სრულიად სხვა წესით და საფუძვლით მოწყობა. ენლა სულ სხვაა, ენლა, რასაკვირველია, საეკლესიო ქორწინებასთან ბრძოლას ისე დიდი მნიშვნელობა აღარა აქვს, როგორც წინადა.

2. პროექტი რეგისტრაციაში გატარებულ ქორწინებას თავისი მატერიალური და უფლებრივი შედეგით ათანასწორებს ურეგისტრაციო ფაქტიურ ქორწინებასთან. ახალი პროექტით ქორწინების რეგისტრაციის აქტი მხოლოდ ტეხნიკური საშუალებაა ორ პირთა შორის უკვე არსებული ქორწინების დამტკიცების გასაადვილებლად. ესეთი გამაადვილებელი საშუალებ-

ბა არსებული ქორწინების დასამტკიცებლად განსაკუთრებით იმ შემთხვევაშია საქირო, როდესაც ერთ-ერთ მეუღლეს ან შვილებს უხდებათ თავისი უფლებების დაცვა, მაგ., როდესაც ცოლი მოითხოვს ქმრისაგან სარჩოს, ან მემკვიდრეობის უფლების დაცვის დროს და სხვ. (1 და 2 მუხ. და 10 და 12 მუხ. შინიშენა). ამრიგად, იმ მეუღლეთ, რომელთა ქორწინებაც რეგისტრაციაში არ ყოფილა გატარებული, ისეთივე უფლებები აქვთ, როგორც რეგისტრაციაში გატარებული ქორწინებით შეუღლებულ პირთ; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ პირველთ თავისი ქორწინების დამტკიცება მოუხდებათ სასამართლოს მეშვეობით, მაშინ როდესაც მეორეთ ქორწინება წინასწარ უკვე დადასტურებულია თვით რეგისტრაციის ფაქტით. ამ ორი სახის ქორწინების გათანასწორობით, პროექტს მხედველობაში აქვს სუსტი მხარის—ქალის და ბავშვების ინტერესების დაცვა, ე. ი. პროექტი ერთნაირად იცავს როგორც იმ მეუღლის უფლებრივ და მატერიალურ ინტერესს, რომლის ქორწინება რეგისტრაციაშია გატარებული, ისე იმ მეუღლისაც, რომლის ქორწინება რეგისტრაციაში არ ყოფილა გატარებული. ერთნაირად იცავს აგრეთვე ამ ორივე ქორწინებაში გაჩენილ ბავშვების ინტერესებსაც. ამ უამად მომქმედი კანონი სცნობს მხოლოდ რეგისტრაციაში გატარებულ ქორწინებას და სრულიად უყურადღებოდ სტოვებს სხვა სახის საქორწინო ურთიერთობას, ე. ი. მომქმედი კანონის მიხედვით, მეუღლეთა უფლება-მოვალეობა წარმოიშობა მხოლოდ ისეთი ქორწინებით, რომელიც გატარებულია მოქალაქ. მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოს რეგისტრაციაში. მხოლოდ ამ გვარად დაქორწინებულ ცოლს შეუძლიან სარჩოს (ალიმენტების) მოთხოვნა.

3. ახალი პროექტით გამარტივებულია განქორწინების წესი. განქორწინება ისევე წინანდებურად თავისუფალია და შეიძლება მოხდეს ერთი რომელიმე მეუღლის სურვილითაც კი, მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ განქორწინების საქმე პროექტით მთლად გადაცემულია მოქალაქ. მდგომარეობის ჩამწერ („მმაჩის“) ორგანოზე, რომელსაც დაკისრებული აქვს ქორწინების რეგისტრაცია. ამ უამად არსებული განქორწინება სასამართლოს წესით პროექტით უარყოფილია, რადგანაც მას ეს წესი მიაჩნია სრულიად ზედმეტ პროცედურად, ხოლო იმისთვის, რომ განქორწინების შემდეგ განქორწინებულთ აღარ დასჭირდეთ სასამართლოში ან ნოტარიუსთან მისვლა ქონებისა და შვილების საკითხის გადასაწყვეტად, პროექტი აძლევს „მმაჩის“ ორგანოს უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მეუღლენი შეთანხმებით გადასწყვეტენ აღნიშნულ საკითხს, ეს შეთანხმება გაატაროს რეგისტრაციაში. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მეუღლენი ვერ შეთანხმდნენ, ან თუმცა შეთანხმდნენ, მაგრამ შეთანხმებამ შეიძლება შემდეგში შეაფეროვოს მათი ან მათი შვილების უფლება, ამ უკანასკნელთ შეუძლიანთ მიმართონ სახალხო სასამართლოს.

4. მეუღლეთა საერთო ქონება. აქ ლაპარაკია მეუღლეთა ისეთ ქონებაზე, რაც შეძენილია ქორწინებაში, ერთად ცხოვრების დროს. მომქმედ კანონში ამისთანა საერთო ქონება არ არის გათვალისწინებული, მაგრამ გინაიდან ჩვენთვის ნორმალური ტიპიური ოჯახი არის მშრომელთა ოჯახი, სადაც შეუძლებელია სისწორით გა-



მოიკრევეს, რა შემოაქვს ოჯახში თვითეულ მეუღლეს, ამიტომ სამართლიანი იქნებოდა, რომ ორივე მეუღლის საერთო შრომით (ერთისა ოჯახ-გარეთ, ხოლო მეორესი შინ, ოჯახში) შეძენილი ქონება, ორივეს ერთნაირად ეკუთვნოდეს. აი ამ მოსაზრებით პროექტი გადაჭრით აცხადებს, რომ ქორწინებაში საერთო შრომით შეძენილი ქონება, სულ რა სახისაც ის არ უნდა იყოს, საერთოა. (პროექტის 10 მუხ.). ამ შემთხვევაში პროექტი ემყარება მშრომელი ხალხის ყოფა-ცხოვრების პირობებს და მის სამართლის შეგნებას, რაც გადმოცემულია მიწის კოდექსის იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია ოჯახურ-ქონებრივ გაყრის შესახებ („ის ვინც ქორწინებით შედის შრომითი მიწათმოქმედ მეთურნობაში ჩაითვლება კომლის თანასწორ და სრულუფლებიან წევრად“), რაც შეეხება ისეთ ქონებას, რომელიც თვითეულ მეუღლეს ქორწინებამდე შეუძენია, პროექტი პირდაპირ არაფერს ამბობს, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ესეთი ქონება არ შეიძლება საერთო ქონებად ჩაითვალოს, ამიტომ თუ მეუღლეთ სურთ იგი ერთად გამოიყენონ, მათ შეუძლიან ამ ს შესახებ დასდონ ერთმანეთთან ხელშეკრულება, ისე კი რომ ამ ხელშეკრულებით არ შეიზღუდოს მათი უფლება. (პროექტის 11).

**5. ურთიერთობა მშობლებისა, შვილებისა და შვილად აყვანილთა შორის.** მშობლებსა და შვილებ შორის ურთიერთობის ძირითადი პრინციპები პროექტში იგივეა, რაც მომქმედ № 28 დეკრეტში, მხოლოდ პროექტში ამ დეკრეტთან შედარებით არის ახალი შვილად აყვანა. ის, რის შიშითაც კანონმდებელი წინად იძულებული ხდებოდა ხელი აეღო შვილად აყვანის ინსტიტუტზე, ეხლა აღარ არსებობს. რისა ეშინოდა კანონმდებლებს? ა) იმისი, რომ შვილად აყვანა ვაი თუ მცირეწლოვანთა ექსპლოატაციის საშუალებად იქნეს გამოყენებული, რომ მცირეწლოვანი შვილად აყვანილი შეიძლება გადიქცეს მუქთა მუშად, ბ) იმისი, რომ შვილად აყვანა ხელოვნურად აფართოებს იმ პირთა წრეს, რომელთაც კანონით შეუძლიან იყენონ მემკვიდრედ. ამ მოსაზრებათა გარდა ბავშვების საზოგადოებრივი აღზრდის საქმე ფართოდ ვერ იქმნა დაყენებული, რომ მოსპობილიყო ბავშვების უპატრონობა და უთავშესაფარობა და ამასთან ერთად ყოველგვარი ქველმოქმედებაც. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ უთავშესაფარო ბავშვთა რიცხვი კიდევ საგრძობია და სახელმწიფო იძულებული ხდება მიმართოს კერძო მოქალაქეთა ინიციატივას, რამაც თავი იჩინა ამ ბოლო ხანებში. ამ რიგად, პროექტს შვილად აყვანის შემოღებით მიზნად აქვს, ნაწილი იმ ტვირთისა, რასაც ეწევა სახელმწიფო ბავშვთა უპატრონობასა და უთავშესაფარობასთან ბრძოლაში, გადასცეს კერძო მოქალაქეთ. პროექტით შვილად აყვანის საკითხის გადაწყვეტა ექვემდებარება სამეურვეო დაწესებულებას.

**6. მშობლების, შვილების და ნათესავების შენახვა.** მომქმედი კანონით—გაპირვებაში ჩავარდნილ ნათესავებს პირდაპირ აღმავალი და შთამავალი ხაზით, აგრეთვე ძმებსა, დებს უფლება აქვთ მოსთხოვონ სარჩო თავის შეძლებულ ნათესავებს (№ 28 დეკრეტის 132 მუხ.). პროექტით კი სარჩოს მოთხოვნის უფლება და მაშასადამე სარჩოს მიწოდების მოვალეობაც მიკუთვნებული აქვთ მხოლოდ შვილებს და მშობლებს ჩვენს პრაქტიკაში ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ რამდენიმე


პირს სოლიდარულად დაჰკისრებია მეუღლისა და შვილის შენახვა და ეს პრაქტიკას წესად გადუქტეცია. ამის საწინაღმდეგოდ, პროექტის მე-22 მუხლით, სულ სხვა წესია შემოღებული, სახელდობრ: „თუ სასამართლო მამობის საკითხის განხილვის დროს გამოარკვევს, რომ დედას, ბავშვის ჩასახვის დროს, სქესობრივი კავშირი ჰქონდა გარდა იმ პირისა, რომელიც მან უჩვენა მამად, აგრეთვე სხვა პირებთანაც, სასამართლო გამოიტანს დადგენილებას, რომლითაც ამ პირთა შორის ერთს სცნობს ბავშვის მამად და დააკისრებს მას წინა მუხლში აღნიშნულ ყველა მოვალეობას“.

**7. მეურვეობა.** მეურვეობის საკითხში პროექტით მხოლოდ ერთი რამ არის ახლად შეტანილი.—წინად სამეურვეო საქმეს განაგებდა რამდენიმე დაწესებულება: განათლების სახ. კომისარიატი, იუსტიციის სახ. კომისარიატი და აღმასკომი. პროექტით სამეურვეო საქმე გადაცემულია მხოლოდ ერთ ორგანოზე—ადგილობრივ აღმასკომზე. პროექტით იმ პირთა შორის, ვისაც უნდა დაეწესოს მეურვეობა, გამოტოვებულია მფლანგველი (Расточитель), ვინაიდან მუშა-მშრომელ ოჯახისათვის თვით ამ მოქმედების „ფლანგვის“ შემცენებაც კი შეუფერებელია. მშრომელი, გლეხური ოჯახის სოფლის მეურვეობას იცავს მიწის კოდექსის სათანადო მუხლები. მაგრამ რაც შეეხება არამშრომელთა ოჯახს, სადაც შეიძლება იყოს დაგროვილი რამე ძვირფასი ქონება და სადაც მოსალოდნელია მოხდეს გაფლანგვა, ამისთანა ოჯახის დაცვა, აშკარაა, არ შეადგენს საბჭოთა კანონმდებლობის დანიშნულებას.

ჩვენ საჭიროდ არ მივიჩნიეთ პროექტის ნაკლებად მნიშვნელოვან მხარეებზე შეჩერება, რადგანაც ვფიქრობთ, რომ ეს მხოლოდ გააძნელებს მომავალ დისკუსიას და ააცილებს დისკუსიაში მონაწილეთა ყურადღებას ძირითად და პრინციპიულ საკითხებს, რაც ჩვენ მოკლედ გვაქვს ზემოთ, მუხლებში აღნიშნული; წერიმალის გაშუქება აქ ჩვენ ზედმეტად ჩავთვალეთ კიდევ იმიტომ, რომ მათი დატოვება პროექტში ან გამოტოვება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გადაწყდება დისკუსიით მთ ვარი საკითხები. ამასთან ჩვენ აუცილებლად საჭიროდ მიგვაჩნია ადგინოთ, რომ დისკუსია მაშინ გამოიღებს ნაყოფს, იქნება სასარგებლო და სრული, თუ იგი ორგანიზაციულად და გეგმაშეწონილად იქნება ჩატარებული. ყოველი უორგანიზაციო, შემთხვევითი და მოუშხადებელი სჯა-კამათი (მიტინგური) ამ წერილში აღძრულ ცენტრალურ საკითხებზე არა თუ უსარგებლო, ზოგიერთ შემთხვევაში, მაზიანებელიც კი იქნება. ესეი სჯა-კამათი კანონმდებელს ვერ გაუშუქებს მშრომელი მასის აზრსა და განწყობილებას, და გარდა ამისა, იგი სათანადოდ ვერ გამოარკვევს მომქმედი კანონის და პროექტის ცალკე საკითხებს, შექმნის ზედმეტ გაუგებრობას და საკითხების არე-დარევას. ამიტომ საჭიროა, ვინეორებ, დისკუსიის ორგანიზაციულად ჩატარება. ეს კი უნდა თავს იღვას სოფლის კულტურულმა ძალამ და უპირველეს ყოვლისა იუსტიციის ადგილობრივმა მუშაკებმა, დამცველთა კოლეჯის წევრებმა, მასწავლებლებმა და სხვ. მათ უნდა იკისრონ დისკუსიის ხელმძღვანელობა ადგილობრივი ხელისუფლების, პარტიული და გლეხთა საზოგადოებრივ ორგანოებთან შეთანხმებით.

იმედი გვაქვს, რომ არც ჩვენი პრესა დასტოვებს ამ





ჩვენი ცხოვრების მეტად მნიშვნელოვან საკითხს უყურადღებოდ და რამოდენიმე ალაგს დაუთმობს მას თავის ფურცლებზე. საჭიროა რომ ყველა მასალები დისკუსიის ირგვლივ (რეზოლიუციები, ოქმები და სხვა) წინასწარ

ეგზავნებოდეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს და პარალელურად პრესას.

ი. ვარძიელი.



## სასამართლოს შექმნა და სამართლის სწავლა

სასამართლოს სახელმწიფოს მიერ დაკისრებული აქვს უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანა—სამართლის დაცვა. ამ ამოცანას იგი აწარმოებს კანონების შეფარდების დროს. კანონების სათანადო შეფარდება კი შეიძლება მიღწეულ იქნეს მათი სწორე გაგებით. ხოლო კანონების გაგებას სასამართლო შესძლებს მაშინ, თუ მას ეცოდინება, რა მხრივ მიუდგეს მათ, რომ გამოარკვიოს მათი ნამდვილი დედაპირი, ე. იგი ნათელ ჰყოს ის, თუ რის თქმა უნდა კანონმდებელს.

ადვილია ისეთი კანონის გამოყენება, რომლის დედაპირი იმდენად მკაფიოდ არის გადმოცემული, რომ სრულიად შეიძლება მისი შეფარდება განსახილველი საქმისათვის. მაგრამ რადგანაც სრულიად ნათელი კანონები ბევრი არ არის, სასამართლოს, მართლმსაჯულების დროს, არ შეიძლება წინ არ გადაეღობოს დაბრკოლება, რომლის მიზეზს უწინარეს ყოვლისა კანონის ბუნდოვანობა ან მასში არსებული წინააღმდეგობა შეადგენს.

პირველი, რასაც სახელმწიფო თხოულობს სასამართლოსაგან, არის ის, რომ საქმე, რომელსაც იგი იხილავს, აუცილებლად იქნეს გადაწყვეტილი. აქედან ცხადია, სასამართლოს უფლება არა აქვს შეაჩეროს საქმის განხილვა იმ მიზეზით, რომ კანონი ბუნდოვანია, ან მასში არსებობს წინააღმდეგობა.

სასამართლომ თავისი საკუთარი ძალდონით უნდა გადასწყვიტოს საკითხი, იგი არ უნდა მოელოდეს შველას იმ მხრივ, რომ ვინმე განუმარტავს ბუნდოვან კანონს ან მოსპობს მასში წინააღმდეგობას. ეს ძნელი ტვირთი თვით სასამართლომ უნდა იკისროს. საქმის განხილვის შეჩერება იმის გამო, რომ კანონი ბუნდოვანია ან წინააღმდეგობაა მასში, მაჩვენებელი იქნებოდა იმისა, რომ სასამართლომ ხელი აიღო მართლმსაჯულებაზე, რომ მან თავისი მოვალეობის შესრულება, ე. ი. პრაქტიკაში წამოკრიჭა საკითხის გადაწყვეტა ადმინისტრაციის დაუთმოდ, რომლის დანიშნულებაც მხოლოდ გარე წესრიგის დაცვა, ან და მიანება თვით დაინტერესებულ პირთ. ასეთი მოვლენა სახელმწიფოში დაუშვებელია, რადგანაც მან, შეიძლება, ზიანი მიაყენოს სამართლისა და წესრიგის ინტერესებს. აი ამიტომ კანონი უკრძალავს სასამართლოს საქმის განხილვის შეჩერებას იმ მიზეზით, რომ კანონი ბუნდოვანია ან წინააღმდეგობაა მასში. ეს აკრძალვა აშკარად არის გამოთქმული სისხლ. სამ. საპრ. კოდ. მე-2 მუხლში, სადაც ასეა ნათქვამი: „სასამართლოს აკრძალული აქვს საქმის გადაწყვეტა შეაჩეროს იმ მოსაზრებით, რომ არ მოიძებნება შესაფერი კანონი, რომ იგი სრული არ არის და ბუნდოვანია, ან და რომ ერთი კანონი მეორეს ეწინააღმდეგება“.

სამოქ. სამ. საპროც. კოდექსში თუმცა ეს არსად პირდაპირ ნათქვამი არ არის, მაგრამ ეს კიდევ იმას ირწმუნავს, რომ სასამართლოს შეუძლიან, თუ სამოქ. სა-

მართლის კოდ. მუხლი ბუნდოვანია, ან წინააღმდეგობაა მასში, შეაჩეროს საქმის განხილვა. სამოქალაქო საქმის წარმოებისათვის არსებობს სხვა დადგენილება (სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 6 მუხ.), რომლითაც „უკეთეს კანონი და განკარგულება საკმაო არ იქნება რომელიმე საქმის გადასაწყვეტად, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს საბჭოთა კანონმდებლობის ზოგადი საფუძვლით და მუშათა და გლეხთა მთავრობის საერთო პოლიტიკით“. რახან სასამართლოს უფლება არა აქვს შეაჩეროს საქმის განხილვა იმ მოსაზრებით, რომ „კანონი და განკარგულება საკმაო არ არის საქმის გადასაწყვეტად“, მით უმეტეს მას არ შეუძლიან ასე მოიქცეს იმ შემთხვევაში, როდესაც სამოქ. სამართლის კანონის შეფარდება ძნელდება მისი ბუნდოვანობის ან მასში არსებული წინააღმდეგობის გამო.

ამრიგად სასამართლოს ეკისრება აგრეთვე უფრო მძიმე ტვირთი, სახელდობრ ის, რომ იგი ვალდებულია განიხილოს და გადასწყვიტოს ისეთი საქმე, რომლისთვისაც სათანადო ნორმა სრულიად არ არის. ამ შემთხვევაშიაც სასამართლო უნდა დაენდოს მხოლოდ საკუთარ თავს, სხვა არავინ არ დაეხმარება მას და არ შეავსებს კანონმდებლობას საჭირო ნორმით.

ჩვენი ცხოვრების სინამდვილე განუწყვეტლივ მიეჩნება წინ, განვითარების გზაზე. რა ვინდ უნაკლო იყოს კანონმდებლობა, მაინც შეუძლებელია გაითვალისწინოს მან ყველა ის შემთხვევა, რაც კი შეიძლება მოხდეს ამ მუდამ მოძრავ სინამდვილეში. ამიტომ კანონმდებლობა, გინდ უაღრესად სრულყოფილი, არ შეიძლება არ ჩამორჩეს ცხოვრებას. განვითარების პროცესში იქმნება ახალი ურთიერთობა მოქალაქეთა შორის, ერთის მხრივ, და მოქალაქეთა და სახელმწიფოს შორის, მეორე მხრივ; ამ ურთიერთობის ნიადაგზე ჩნდება ახალი, კანონით გაუთვალისწინებელი დანაშაულებრივი ქმედობა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას თავისი მიზნების თვალსაზრისით საზოგადოებრივ საშიშ მოვლენად მიაჩნია და რომელიც ამიტომ უნდა ინდენებოდეს; იბადება ახალ-ახალი საკითხი, რომლის გადაჭრა-გადაწყვეტა უნდა ხდებოდეს საბჭოთა კანონმდებლობის საერთო საფუძვლებისა და მუშურ-გლეხური ხელისუფლების საერთო პოლიტიკის მიხედვით. სასამართლომ, როგორც ზევით არის ნათქვამი, თავს უნდა იღვას ყველა იმ დაბრკოლებების გადალახვა, რასაც ქმნის არა მარტო კანონის უბუნდოვანობა თუ წინააღმდეგობა, არამედ და უმთავრესად ის, რომ არსებული კანონმდებლობა სრული არ არის. აი აქ, სასამართლო, მომქმედ კანონის შეფარდებიდან გადადის შემოქმედებითი მუშაობაზე, რომლის დროსაც მან სახელმძღვანელოდ უნდა მიიღოს ასეთი წესი: განსახილველი საკითხი, თუ კი კანონს არა აქვს იგი გათვალისწინებული, ისე უნდა გადაწყდეს, როგორც გადასწყვეტ-



და კანონმდებელი. ამ რიგით, სასამართლო კანონით გაუთვალისწინებელი შემთხვევის გადაწყვეტით ჰმატებს კანონმდებლობას ახალ ნორმას. აი ასეთი დამატება, ასეთი შევსება მომქმედი კანონებისა შეადგენს სასამართლოს შემოქმედებითი მუშაობას სამართლის სფეროში.

უნდა აღინიშნოს, რომ რამდენად უფრო კანონმდებლობა ცხოვრებას არის ჩამორჩენილი, იმდენად ფართოა საერთოდ სამართლის სფეროში სასამართლოს შემოქმედებითი მუშაობა. კოდექსების უქონლობა საბჭოთა სასამართლოს ფართო ასპარეზს უშლიდა შემოქმედებითი მუშაობისათვის, რომლის დასაბამი იყო და არის რევოლიუციონური სამართლის შეგნება, რაც გულისხმობს მომქმედ კანონისა და საბჭოთა ხელისუფლების მიზან-ამოცანების სწორ გაგებას. აღნიშნულ ხანაში შემოქმედებითი მუშაობა სამართლის სფეროში არ იყო ისეთ მტკიცე კალაპოტში ჩაყენებული, როგორც ეხლა. მხოლოდ ის კი ეჭვს გარეშეა, რომ ამ შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფი, რომელიც ემყარებოდა რევოლიუციური სამართლის შეგნებას მასებისას, საფუძვლად დაედო წერილობით გამოცემულ კანონებს. ეხლაც ამავე რევოლიუციონური შეგნებას სამართლისას ემყარება სასამართლოს შემოქმედებითი მუშაობა, რომელიც უნდა სწარმოებდეს კანონით განსაზღვრულ პირობებში.

სამართლის კოდექსის არსებობისას სასამართლოს შემოქმედებითი მუშაობა სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს უფრო ვიწროდ არის შემოფარგლული, ვიდრე სამოქალაქო სამართლის საქმეთა სფეროში. ამ მუშაობის ფარგალს განსაზღვრავს სისხლის სამ. კოდ. მე-9 მუხლი, რომლითაც „უკეთეს ესა თუ ის საზოგადოებრივად საშიში ქმედობა სისხლის სამართლის კანონმდებლობით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, პასუხისმგებლობის საფუძველსა და ფარგალს, აგრეთვე სოციალური დაცვის ღონისძიებას სასამართლო განსაზღვრავს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლის მიხედვით, რომლითაც გათვალისწინებულია მნიშვნელობით და გვართ ყველაზე მეტად მსგავსი დანაშაული.“ ეს მუხლი, როგორც ვხედავთ, არ ეთანხმება პრინციპს — *nullum crimen sine lege*,<sup>1)</sup> რომელიც გადმოცემულია სისხლ. სამ. საპრ. კოდ. მე-2 მუხლის პირველ ნაწილში შემდეგი სიტყვებით: „ის, რომ ქმედობა დანაშაულებრივია და დასაჯელი, განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მისი ჩადენის დროს მოქმედობდა.“

არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ სისხლ. სამ. კანონის მოქმედებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოქალაქეთა სამართლის შეგნება და რომ სასჯელის დადების მიზანი ისაა, რომ რამდენადაც შესაძლებელია ძრიელი ზეგავლენა მოახდინოს მოქალაქის ფსიხიკაზე იმ მხრივ, რომ ჩაუკლას მას დანაშაულის ჩადენის სურვილი. ამიტომ საჭიროა მოქალაქემ კარგად იცოდეს, რა არის კანონით აკრძალული. სისხლ. სამ. კოდ. მე-9 მუხლი კი ამ მოთხოვნას არ იცავს, ასე რომ მოქალაქეს შეიძლება თავს დაატყდეს სასჯელი ისეთი ქმედობისათვისაც, რაც კანონით პირდაპირ არ არის აკრძალული.

სისხლის სამართლის საპრ. კოდექსის მე-2 მუხლში გამოთქმულ პრინციპს, როგორც ზევით არის აღნიშნული,

გვერდს უხვევს სისხლ. სამ. კოდ. მე-9 მუხლი და ეს აიხსნება თანამედროვე ცხოვრების პირობებით. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს ამის გასამართლებელი მიზეზი, მაინც მე-9 მუხლ. ფართოდ შეფარდება არ შეიძლება. იგი უნდა გამოიყენოს სასამართლომ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, ე. იგი მხოლოდ მაშინ, თუ სასამართლო გამოარკვევს და დარწმუნდება, რომ ჩადენილმა დანაშაულებრივმა ქმედობამ, თუ კი დარჩება იგი უპასუხოდ, შეიძლება ვნება და ზარალი მიაყენოს სახელმწიფოს არსებით ინტერესებს.

რაც შეეხება სამოქალაქო საქმეებს, აქ სასამართლოს უფრო ფართო ასპარეზი ეძლევა შემოქმედებითი მუშაობისათვის. სამოქ. საპრ. კოდექსის მე-6 მუხლით სასამართლო ვალდებულია იხელმძღვანელოს საბჭოთა კანონმდებლობის ზოგადი საფუძვლებით და მუშათა და გლეხთა მთავრობის საერთო პოლიტიკით იმ შემთხვევაში, თუ კანონი და განკარგულება საკმაო არ იქნება საქმის გადასაწყვეტად. სასამართლო მაშასადამე ვალდებულია აუცილებლად გადასწყვიტოს საქმე, თუნდაც ეს საქმე კანონით არ იყოს პირდაპირ გათვალისწინებული. ამასთან იმისთვის, რომ მართლმსაჯულების საქმე სწორედ იყოს დაყენებული, სასამართლომ უნდა ყურადღება მიექციოს იმას, რომ ანალოგიური საქმეები ერთნაირად იქნენ გადაწყვეტილი, ე. იგი სამართლის ერთსა და იგივე საფუძვლების მიხედვით. ამით სასამართლო ჰქმნის პრეცედენტს, რომლითაც შეივსება მომქმედი კანონმდებლობა.

მომქმედი კანონმდებლობის ამგვარი შევსებით გამოიხატება სასამართლოს შემოქმედება სამართლის სფეროში. ამით იგი ემსახურება მართლმსაჯულების დაწესების ინტერესებს. გარდა ამისა სასამართლოს პრაქტიკით შეუძლიან ისარგებლოს კანონმდებელსაც, როგორც მასალით, და მის მიხედვით გამოსცეს სათანადო კანონები კანონმდებლობის დანაკლისის შესავსებად.

აღნიშნულთან დაკავშირებით ისმება საკითხი, უზრუნველყოფს თუ არა სასამართლოს არსებული სისტემა სასამართლოს შემოქმედებითი მუშაობის სწორს გეზს. ჩვენ გვაქვს ორი ინსტანცია — პირველი და საკასაციო, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოები, როგორც საკასაციო ინსტანციები სახალხო სასამართლოებში გადაწყვეტილ საქმეთა განსახილავად. საბჭოთა სასამართლოს სისტემაში ორი ინსტანციის არსებობა იმის მაჩვენებელია, რომ მეორე, საკასაციო ინსტანცია იხილავს, სინჯავს პირველი ინსტანციის მოქმედებას. მაგრამ რადგანაც ჩვენ გვაქვს, როგორც ზევით არის აღნიშნული, ორი ოლქის სასამართლო, და შეიძლება ერთი და იგივე საკითხი მათ სხვადასხვანაირად გადასწყვიტონ, ე. იგი შექმნან სხვადასხვა პრაქტიკა, ამიტომ მათი მოქმედებაც უნდა იქნეს შეფასებული. ამ მიზანს ემსახურება უზენაესი სასამართლო, რომლის დანიშნულებაა, მომქმედი კანონების ერთნაირად განმარტების მიზნით, განამტკიცოს სასამართლოს შემოქმედების, ე. ი. კანონიერების საფუძვლები იმ ხრივ, რომ პრაქტიკა საგნებით იქნეს შეთანხმებული საბჭოთა კანონმდებლობის ზოგად საფუძვლებთან და მუშა და გლეხთა მთავრობის საერთო პოლიტიკასთან. აი ამას ანხორციელებს უზენაესი სასამართლოს პლენუმის სხდომა.

1) არ შეიძლება დანაშაულებრივი ქმედობისათვის სასჯელის გადაწყვეტა, თუ კი არ არსებობს კანონი, რომლითაც ეს ქმედობა გათვალისწინებულია.





სასამართლოს წყობილების დებულების 104 მუხლის თანახმად უზენაეს სასამართლოს პლენუმის ხსლომას ექვემდებარება კანონების სწორი განმარტება სასამართლოს პრაქტიკის იმ საკითხების გამო, რასაც აღძრავს ცალკე კოლეგია ან ამა თუ იმ კოლეგიის სამსჯავრო ხსლომის ცალკე შედგენილობა, ან რასაც შეიტანს უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმი, რესპუბლიკის პროკურორი ან მისი, უზენაეს სასამართლოსთან განწესებული, თანაშემწე. უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ მოცემულ განმარტებას კანონისა, და აგრეთვე მის მიერ კანონით გაუთვალისწინებელი საკითხის გადაწყვეტას აქვს საერთო სავალდებულო მნიშვნელობა. მაგრამ უზენაეს სასამართლოს პლენუმი არა მარტო იმ მოქმედებით აყენებს სასამართლოს შემოქმედებას სწორ კალაპოტში, რაც სასამართლოს წყობილების დებულების 104 მუხლის 1 პუნქტშია აღნიშნული, არამედ იმითაც, რაც იმავე მუხლის მე-2 პუნქტით არის გათვალისწინებული. ამ მუხლის ძალით უზენაეს სასამართლოს პლენუმი განიხილავს უზენაეს სასამართლოს სასამართლო და საკასაციო კოლეგიების და რესპუბლიკის სხვა რომელიმე სასამართლოს განაჩენებს თუ გადაწყვეტილებებს. აქ ლაპარაკია პლენუმის მიერ კანონიერ ძალაში შესულ განაჩენებისა თუ გადაწყვეტილებათა გასინჯვაზე, ხოლო გასინჯვის საბაბით შეიძლება იყოს აღნიშნული განაჩენის ან გადაწყვეტილების გადაცემა პლენუმისათვის განსახილველად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და რესპუბლიკის პროკურორის მიერ, ან პროტესტის შეტანა კოლეგიის თავმჯდომარის ან პროკურორის მიერ.

უზენაესმა სასამართლომ განაჩენი თუ გადაწყვეტილება იმ მხრივ უნდა განიხილოს, რომ გამოარკვიოს, რამდენად შეესაბამება ეს განაჩენი თუ გადაწყვეტილება მოქმედ კანონებს, საბჭოთა კანონმდებლობის ზოგად საფუძვლებს და მუშათა და გლეხთა მთავრობის საერთო პოლიტიკას. იმ შემთხვევაში, თუ უზენაესი სასამართლო სცნობს, რომ სასამართლომ კანონის ისეთი დარღვევა დაუშვა, რომ მას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა საქმის არსის გამორკვევაზე, ან იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს იმ საქმის გადაწყვეტის დროს, რომლის შესახებ შესაფერი ნორმა არსებულ კანონმდებლობაში არ მოიპოება, გვერდი აუხვევია საბჭოთა კანონმდებლობის ზოგადი საფუძვლებისა და მუშათა და გლეხთა მთავრო-

ბის საერთო პოლიტიკისათვის, ან და თუ აღმოჩნდება, რომ სასამართლოს სწორედ ვერ გაუგია ეს საფუძვლები, უზენაესი სასამართლოს პლენუმი გააუქმებს განაჩენს თუ გადაწყვეტილებას და განუმარტავს სასამართლოს, თუ როგორ უნდა მიუდგეს იგი პრაქტიკაში აღძრულ საკითხს და განსაზღვრავს საზოგადოდ სასამართლოს მოქმედების ხაზს. ხოლო თუ სასამართლოს თავის განაჩენით ან გადაწყვეტილებით კანონის ისეთი დარღვევა დაუშვა, რომ ეს არავითარ გავლენას არ იქონიებდა საქმის საბოლოო გადაწყვეტაზე, უზენაესი სასამართლოს პლენუმი დამტკიცებს იმ განაჩენს თუ გადაწყვეტილებას, მაგრამ ამასთან განუმარტავს სასამართლოს, როგორ უნდა მოიქცეს იგი ანალოგიურ შემთხვევაში.

ამავე მიზანს, ე. იგი სასამართლოს შემოქმედებითი მუშაობის სწორ კალაპოტში ჩაყენებას იმ მხრივ, რომ სისწორით იქნეს გაგებული საბჭოთა კანონმდებლობის ზოგადი საფუძვლები და მუშურ გლეხური ხელისუფლების საერთო პოლიტიკა, ემსახურება უზენაეს სასამართლოს საკასაციო კოლეგიაც. მაგრამ ამ კოლეგიის მუშაობა მით განსხვავდება უზენაეს სასამართლოს პლენუმის მუშაობისაგან, რომ მისი განმარტება, მოცემული ამა თუ იმ საქმის განხილვის დროს, შეეხება მხოლოდ ამ საქმეს.

ამ რიგად, რესპუბლიკის სასამართლოების განაჩენების თუ გადაწყვეტილებათა განხილვა, რა წესითაც არ უნდა ხდებოდეს იგი, ზედამხედველობის თუ საკასაციო წესით, უზრუნველყოფს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამართლის საფუძვლების განმტკიცებას. ამიტომ სასამართლოს, რომლის დანიშნულებაა სამართლისა და წესრიგის დაცვა, ევალება საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამართლის პრინციპების გატარება, რომლებიც ემყარებიან მოქმედ კანონმდებლობას, საბჭოთა კანონმდებლობის ზოგად საფუძვლებსა და მუშურ-გლეხური ხელისუფლების საერთო პოლიტიკას.

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიუდგეს სასამართლო საბჭოთა კანონმდებლობის ზოგად საფუძვლებს და მუშურ-გლეხურ ხელისუფლების საერთო პოლიტიკას იმ შემთხვევაში, როდესაც განსახილველია ისეთი დავა, რომლის გადასაწყვეტად მოქმედ კანონმდებლობაში შესაფერი ნორმა არ არის, განხილული იქნება შემდეგ წერილში.

კ. მიქელაძე.



## სისრულაში მოუვანა სასამართლოს გადაწყვეტილები, რომლითაც მოკასუხეს მისი ნაბაყოფლოებითი უასრულაბისათვის განსაზღვრული ვადა აქვს მიცაბული.

საქართველოს ს. ს. რ. ცაკის უკანასკნელ სესიაში (1925 წლის ივლისი) სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 185 მუხლი რადიკალურად შეიცვალა. ამ ცვლილების მიხედვით სასამართლოს გადაწყვეტილება საზოგადოდ ძალაში შედის არა მის დადგენილების გამოტანის დღიდან, როგორც ეს წინად იყო, არამედ საკასაციო ვადის გასვლის შემდეგ ან საკასაციო ინსტან-

ციის მიერ გადაწყვეტილების დამტკიცების შემდეგ, იმ შემთხვევაში, როდესაც შეტანილია საკასაციო საჩივარი. დაუყოვნებლივ შესრულებულ უნდა იქნეს, როგორც გამონაკლისი, მხოლოდ ზოგიერთ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელიც გათვალისწინებულია იმავე კოდექსის 187 და 187<sup>1</sup> მუხლებით. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის



260 მუხლი აძლევს სასამართლოს აღმასრულებელს უფლებას მისცეს მოპასუხეს განსაზღვრული ვადა გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებისათვის. სასამართლოს აღმასრულებელს ფაქტიურად შეუძლიან დანიშნოს ასეთი ვადა, ალბათ, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ე. ი. საკასაციო ვადის გასვლის შემდეგ ან და მოპასუხის საჩივრის უშედეგოდ დატოვების შემდეგ. ყველა ეს დებულება უდაოა და არავითარ გაუგებრობას არ იწვევს, ხოლო პრაქტიკაში იბადება საკითხი, რა მომენტიდან უნდა იქნეს გამოანგარიშებული ის ვადა, რომელსაც სასამართლო აძლევს მოპასუხეს გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებისათვის.

ასეთი საკითხი არ იბადებოდა სამოქალაქო სამართლის საპრ. კოდექსის 185 მუხლის ძველი რედაქციის მოქმედების დროს, რადგანაც მაშინ სასამართლოს გადაწყვეტილება შესრულებულ უნდა ყოფილიყო დაუყოვნებლივ და მაშასადამე ის ვადა, რომელსაც სასამართლო აძლევდა მოპასუხეს გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებისათვის, იანგარიშებოდა უკანასკნელის გამოტანის დროიდან.

დასმული საკითხის გადასაწყვეტად განვიხილოთ კონკრეტული შემთხვევა: სასამართლომ დაადგინა დაევალოს მოპასუხეს ერთი თვის განმავლობაში გაანთავისუფლოს ის სადგომი, რომელიც მას უკავია; მოპასუხემ განსაჩივრა გადაწყვეტილება და საკასაციო ინსტანციამ ერთ თვის შემდეგ ან უფრო გვიანაც საჩივარი უშედეგოდ დასტოვა. რადგანაც საკასაციო საჩივრის შეტანის გამო სასამართლოს გადაწყვეტილება არ იყო შესასრულებელი, ერთი თვის ვადა, რომელიც მოპასუხეს მისცა სასამართლომ სადგომის განთავისუფლებისათვის, არ შეიძლება არ შეჩერებულიყო და ამიტომ მისი გამოანგარიშება შეიძლება მხოლოდ იმ დღიდან, როდესაც მოპასუხის საჩივარი საკასაციო ინსტანციის მიერ დატოვებული იქნა უშედეგოდ, და არა იმ დღიდან, როდესაც პირველი ინსტანციის მიერ იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება.

ეს იმით აიხსნება, რომ რახან საქმის გარემოებათა მიხედვით სასამართლომ სცნო საჭიროდ მისცეს მოპასუხეს განსაზღვრული ვადა გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებისათვის, ეს ვადა სრულიად უნდა იყოს მოპასუხის განკარგულებაში. სასამართლომ ზემოდ მოყვანილი მოსაზრებით ჰპოვა, რომ მოპასუხეს ერთი თვის ვადამდე არ შეუძლიან მონახოს თავისთვის ახალი სადგომი, რისთვისაც მას ეს ვადა ეძლევა. სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხის მიერ განსაჩივრების გამო ჯერ არ უნდა ყოფილიყო შესასრულებლად წარმართული; იგი იყო შეჩერებული, რა თქმა უნდა, ყველა ნაწილში, მაშასადამე იმ ნაწილშიდაც, რომლითაც მას ჰქონდა მიცემული ვადა ნებაყოფლობით

შესრულებისათვის. ამის გამო მოპასუხე არ იყო მოვალე მიეღო ზომები სადგომის მოსაძებნად, მით უმეტეს იმ დროს, როდესაც მას იმედი ჰქონდა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება იქნება გაუქმებული. თუ ეს ვადა გამოანგარიშებულ იქნა დღიდან პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გამოტანისა, მაშინ მოპასუხეს არ აქვს არც ერთი დღე ბინის მოსაძებნავად, მაგრამ ამავე დროს მას ამისათვის სასამართლოს მიერ მიცემული აქვს ერთი თვის ვადა.


უფრო ნათელი გახდება ეს საკითხი, თუ კიდევ სხვა მაგალითს მოვიყვანთ. დაუშვათ, სასამართლომ დაავალა მოპასუხეს ერთი თვის ვადაში ააშენოს მის მიერ დანგრეული კედელი მოსარჩლისა. სასამართლოს გადაწყვეტილება განსაჩივრებულია და იგი საკასაციო ინსტანციამ დაამტკიცა თვე ნახევრის შემდეგ. თუ გავიზიარებთ იმ აზრს, რომ ის ვადა, რომელიც სასამართლოს მიერ არის მიცემული, უნდა იქნეს გამოანგარიშებული გადაწყვეტილების პირველი ინსტანციის მიერ გამოტანის დღიდან, ეს მიგვიყვანს იქამდე, რომ გადაწყვეტილების შესრულება შეუძლებელი იქნება, რადგანაც საკასაციო საჩივრის უშედეგოდ დატოვების დროისთვის სასამართლოს მიერ მიცემული ერთი თვის ვადა უკვე იქნება გასული, შენობის აშენება კი ერთ მომენტში არ შეიძლება. აქ სასამართლოს აღმასრულებელსაც არ აქვს უფლება სამ. სამ. კოდექსის 260 მუხლის მიხედვით მისცეს მოპასუხეს ვადა, რადგანაც ასეთი ვადა სასამართლოს მიერ არის მიცემული და, მართლაც, ეს ერთი თვის ვადა, სასამართლოს მიერ დაწესებული უნდა იყოს მოპასუხის განკარგულებაში. ეს ვადა არის სასამართლოს გადაწყვეტილების ნაწილი; გადაწყვეტილება კი სავსებით უნდა იქნეს შესრულებული ისე, რომ არც ერთი მისი ნაწილი არ იყოს შეცვლილი.

აქედან ცხადია, რომ სასამართლოს მიერ მოპასუხისთვის მიცემული ვადა შეიძლება გამოანგარიშებულ იქნეს მხოლოდ იმ დღიდან, როდესაც საჩივარი უშედეგოდ იქნება დატოვებული.

იმ შემთხვევაში როდესაც მოპასუხის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილება არ იყო განსაჩივრებული, აქაც ვადა უნდა იქნეს გამოანგარიშებული არა გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან, არამედ მისი კანონიერ ძალაში შესვლისა, ან, სხვაფრივ რომ ვთქვათ, საკასაციო ვადის გასვლის დღიდან.

პრაქტიკაში ამ ნიადაგზე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად სასამართლოს გადაწყვეტილებაში უნდა იყოს აღნიშნული, რომ მოპასუხის მოვალეობა, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული, უნდა დაიწყოს განსაზღვრულ ვადაში მის მიერ გადაწყვეტილების შესრულების შესახებ უწყების მიღების დღიდან.

ა. აღნოვი.





# წინააღმდეგობა კანონში 1)

საქართველოს სამოქ. სამ. საპროც. კოდექსის მე-32 მუხლში სწერია:

„უკეთეს სასამართლო სცნობს, რომ საქმე მას არ ექვემდებარება, იგი შემოტანილ გაცხადებას სარჩელის შესახებ დანართებით და რეზოლიუციის აზრით დააბრუნებს—სათანადო სასამართლოსათვის წარსადგენად“.

ყოველ ექვს გარეშეა, რომ ამ მუხლს, კოდექსის მე-III თავში მოთავსებულს, სადაც თავმოყრილია ყველა კანონი სასამართლოს ქვემდებარეობის შესახებ, სახეში აქვს ყველა ის შემთხვევა, როდესაც საქმე არ ექვემდებარება ამა თუ იმ სასამართლოს: ან იმიტომ, რომ საქმე ექვემდებარება სხვა ადგილის სასამართლოს (ტერიტორიალური ქვემდებარეობა), ან იმიტომ, რომ იგი ეკუთვნის სხვა გვარის სასამართლოს კომპეტენციას (გვარობითი ქვემდებარეობა: საქმე იყო დაწყებული სახალხო სასამართლოში, ნამდვილად კი იგი ეკუთვნის ოლქის სასამართლოს ან უზენაეს სასამართლოს), ან იმიტომ, რომ ეს სპეციალურ სასამართლოს საქმეა (საარბიტრაჟო კომისიის, საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიის და სხვა), ან, დაბოლოს, იმიტომ, რომ იგი შეადგენს ადმინისტრაციის კომპეტენციას.

აღნიშნული კანონის საწინააღმდეგოდ იმავე კოდექსის მე-104 მუხლში დადგენილია:

„სასამართლოს შეუძლია დაადგინოს საქმის გადატანა სხვა სასამართლოში ან სხვა დაწესებულებაში... და უკეთეს სასამართლო სცნობს, რომ საქმე სხვა დაწესებულებას ექვემდებარება (საარბიტრაჟო კომისიას, საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიას და სხვა).“

როდესაც ამ ორ კანონს ერთმანეთს დავუპირდაპირებთ, გამოდის:

ა) მე-32 მუხლით სასამართლო დააბრუნებს, ე. ი. ვალდებულია დააბრუნოს სარჩელის არზა, როდესაც

საქმე მას არ ექვემდებარება, სხვათა შორის, იმიტომ, რომ იგი, ვთქვათ, ეკუთვნის საარბიტრაჟო კომისიას, ხოლო მე-104 მუხლით სასამართლოს შეუძლია, ე. ი. უფლება აქვს გადაიტანოს საქმე სათანადო დაწესებულებაში;

ბ) მე-32 მუხლით სასამართლო უბრუნებს მაძიებელს, ხოლო მე-104 მუხლით სასამართლოს თვით გადააქვს საქმე სხვა დაწესებულებებში.

ეს, რა თქმა უნდა, ერთი და იგივე არ არის: მაძიებელს, რომელსაც დაებრუნა მისი ქალაქები, შეუძლია სულ უარი სთქვას საქმის აღძვრაზე და არ წარუდგინოს ძიება იმ სასამართლოს თუ დაწესებულებას, რომელსაც მას მიუთითეს. ეს იმის უფლებაა. მაძიებელს, რომელსაც დაებრუნა სარჩელის არზა, დაუბრუნდება აგრეთვე სასამართლო ბაჟებიც, რომელიც, როდესაც ძიების ფასი აღემატება 500 მანეთს, შეადგენს  $4\frac{1}{2}\%$ -ს (ადგილობრივ საჭიროებისათვის შესატანით); ხოლო როდესაც მაძიებელი დაიწყებს იმავე საქმეს საარბიტრაჟო კომისიაში, იგი გადაიხდის მხოლოდ  $1\%$ -ს. სულ სხვაა, როდესაც სასამართლო თვით გადაიტანს საქმეს საარბიტრაჟო კომისიაში, ბაჟის განსხვავება მაძიებელს არ დაუბრუნდება.

მთავარი შეუსაბამობა კი ის არის, რომ, როდესაც საქმე ექვემდებარება სხვა სასამართლოს, მით უმეტეს სხვა დაწესებულებას, სასამართლო ვალდებულია და არა მარტო „შეუძლია“ არ გაარჩიოს თვითონ საქმე.

ანალოგიური დადგენილებანი, ასეთივე წინააღმდეგობით, არის აგრეთვე რუსეთისა და უკრაინის კოდექსებში (31 და 103 მუხ.).

ამ წინააღმდეგობის მოსპობა შეიძლება მე-104 მუხლიდან პუნქტი „დ“-ის, როგორც სრულიად ზედმეტის, ამოღებით.

ბ. ჯაფარიძე.



## უზენაეს სასამართლოს მოღვაწეობიდან.

უზენაეს სასამართლოს პლენუმის განმარტებანი.

განიხილა რა ა/წ იანვრის 16-21-25 მორიგ სხდომებზე: 1. ს. ს. ს. რესპუბლიკის პროკურორის პროტესტი აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს წ/წ. 10-17 თებერვლის გადაწყვეტილებაზე, რომელიც დამტკიცებულ იქნა უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულოს მიერ წ/წ. 4 აპრილის დადგენილებით სახელმწიფო ბანკის ძიებისა გამო გიორგი კარა და სხვებთან ფულების შესახებ და მიიღო რა მხედველობაში, რომ თანახმად სამ. სამ. საპრ. კოდექსის 266 მუხლისა უწინარეს ყოვლისა მთლად დაკმაყოფილებულ უნდა იქმნეს სამ. სამ. კოდექსის 101 მუხლში აღნიშნული მოთხოვნანი და მოგირაუნის პრეტენზიები აღნიშნულ მუხლში განსაზღვრულ წესით; რომ სამ. სამ. კოდ. 101 მუხლის ძალით დაგირავებული ქონება პირველ რიგში მოხმარება იმ

თანხის გასტუმრებას, რაც მოვალისაგან მუშა-მოსამსახურეთ ერგებათ სამუშაო ხელფასად, რაც გადასახდევინებელია სოციალურ დაზღვევისათვის და სარჩოდ და მეორე რიგში საერთო სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გადასახად-გამოსაღების ნარჩენის გასტუმრებას, მესამედ კი სახელმწიფო ორგანოთა პრეტენზიების დაკმაყოფილებას; რომ თანახმად ბანკის დებულების 36 მუხლისა ბანკის ვალი უნდა დაკმაყოფილდეს უპირველეს ყველა სახელმწიფო ვალებისა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ სახელმწიფო ბანკის ვალები უნდა დაკმაყოფილდეს შემდგომ პირველ და მეორე რიგებში ნაჩვენებ ვალებისა, მესამე რიგში უპირველეს ყველა სხვა სახელმწიფო ვალებისა, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს რესპუბლიკის პროკურორი თავის პროტესტში; რომ მოყვანილ

1) დისკუსიის წესით.



მოსაზრებათა გამო არ შეიძლება დაიტოვოს ძალაში და გაუქმებულ უნდა იქნეს უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულოს 1925 წ. 4 აპრილის დადგენილება იმ ნაწილში, რომლითაც სახელმწიფო ბანკს უარი ეთქვა სხვა დანარჩენ სახელმწიფო ორგანოებთან შედარებით იმის ვალის უპირატესად დაკმაყოფილების ცნობაში, უზენაეს სასამართლოს პლენუმმა დაადგინა: რესპუბლიკის პროკურორის პროტესტი უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულოს 1925 წლის 4 აპრილის დადგენილებაზე იმ ნაწილში, რომლითაც უარი ეთქვა სახელმწიფო ბანკს იმის ვალის უპირატეს ყველა სხვა სახელმწიფო ორგანოთა პრეტენზიების დაკმაყოფილების ცნობაში, მოწონებულ და დაკმაყოფილებულ იქნეს და უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულოს 1925 წ. 4 აპრილის დადგენილება შესაფერ ადგილში გაუქმებულ იქნეს.

2. ს. ს. ს. რესპუბლიკის პროკურორის პროტესტი აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს 1925 წ. 21 დეკემბრის გამწესრიგებელი სხდომის დადგენილებაზე მიხეილ ქოქორიშვილის და სხვ. სისხლ. სამ. კოდ. 18 და 146 მ. პ. „ა„ ძალით ბრალდებისა გამო, და მიიღო რა მხედველობაში, რომ თუ ბოროტმოქმედი ჩაიდენს მკვლელობას, რომ იმის საშუალებით დაეუფლოს მოკლულის ქონებას, ასეთ დანაშაულს უნდა შეუფარდდეს სისხლ. სამ. კოდ. 146 მუხლი, როგორც ანგარებით ჩადენილ მკვლელობას,—აქ მკვლელობა აუცილებელი პირობაა მიზნის მისაღწევად, ე. ი. მოკლულის ქონების დასაუფლებლად; რომ თუ ბოროტმოქმედი გაიტაცებს სხვის ქონებას აშკარა თავდასხმით და ისეთი ძალადობით, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს დაზარალებულის დაშავება ან სიკვდილი, ასეთ დანაშაულს უნდა შეეფარდოს სისხლის სამართლის კოდექსის 191 მუხლი; აქ აშკარა თავდასხმა და ისეთი ძალადობის ხმარება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს დაზარალებულის სიკვდილი ან დაშავება, აუცილებელი პირობებია მიზნის განსახორციელებლად, ე. ი. ქონების გასატაცებლად; რომ მოყვანილ მოსაზრებათა გამო ბრალდებულთა ქოქორიშვილის და ხატიაშვილის ქმედობას, რაც გამოიხატება მასში, რომ აშკარად თავს დაეცნენ მეეტლე ობოლ გოგიაშვილს ეტლისა და ცხენების გატაცების მიზნით და გატაცების დროს შემოაკვდა მათ ეტლის პატრონი, უნდა შეუფარდდეს სისხლ. სამ. კოდ. 191 მუხლი,—უზენაეს სასამართლოს პლენუმმა დაადგინა: რესპუბლიკის პროკურორის პროტესტი მოწონებულ და დამტკიცებულ იქნეს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს 1925 წ. 21 დეკემბრის გამწესრიგებელ სხდომის დადგენილება მიხეილ ქოქორიშვილის და გიორგი ხატიაშვილის სისხლ. სამ. კოდ. 18 და 146 მუხლების ძალით ბრალდების შესახებ გაუქმებულ იქნეს, 146 მუხლი შეცვლილ იქნეს 191 მუხლით და საქმე არსებითად განსახილველად გადაეცეს იმავე სასამართლოს.

3. უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის ალ. თუმანიშვილის მოხსენება, რომ გაუქმებულ იქნეს უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულოს 1925 წ. 24 დეკემბრის დადგენილება იმ ნაწილში, რომლითაც დამტკიცებულია ქ. ტფილისის მე-4 უბნის სახალხო სასამართლოს მიერ 1767 №-ით გაცემული სასამართლოს ბრძანება, და მიიღო რა მხედველობაში, რომ თანახმად სამ. სამ.

კოდ. 142 მუხლისა სასამართლოს აქვს უფლება მოვალის თხოვნით შეამციროს პირგაუტეხელობის ჯარიმა, უკეთეს ის მეტის-მეტად დიდია, რომ უკეთეს საკითხი ჯარიმის შესახებ გადაწყდება სასამართლოს ბრძანებით, მოვალე მოკლებული იქნება აღნიშნულ კოდექსის 142 მუხლით მინიჭებულ უფლებას, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ძიება პირგაუტეხელობის ჯარიმის შესახებ უნდა წარმოებულ იქნეს სარჩელის საერთო და არა განსაკუთრებული წესით, რომ ამიტომ უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულოს 1925 წ. 24 დეკემბრის დადგენილება იმ ნაწილში, რომლითაც დამტკიცებულია ქ. ტფილისის მე-4 უბნის სახალხო სასამართლოს მიერ გაცემული სასამართლოს ბრძანება 1925 წ. 23 სექტემბრისა პირგაუტეხელობის ჯარიმის მისჯის შესახებ, უნდა გაუქმდეს, უზენაეს სასამართლოს პლენუმმა დაადგინა: უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულოს 1925 წ. 24 დეკემბრის დადგენილება იმ ნაწილში, რომლითაც დამტკიცებულია ქ. ტფილისის მე-4 უბნის სახალხო სასამართლოს 1925 წ. 23 სექტემბრის სასამართლოს ბრძანება ეკატერინე ნიჟარაძის სასარგებლოდ შიმშონ ხანანაშვილიდან 400 მ. პირგაუტეხელობის ჯარიმის მისჯის შესახებ, გაუქმებულ იქნეს, დანარჩენ ნაწილში კი აღნიშნულ საკრებულოს 1925 წ. 24 დეკემბრის დადგენილება დამტკიცებულ იქნეს.

4. უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულოს მომართვა, რომ განმარტებულ იქნეს სამ. სამ. საპრ. კოდ. 49 მუხლი, თუ რამდენად შესაძლებელია ამ მუხლის შეფარდება შემოკლებულ ვადის ხანდაზმულობასთან, უკეთეს ძიება აღძრულია სახელმწიფო ორგანოს წინააღმდეგ, უზენაეს სასამართლოს პლენუმმა დაადგინა: განემარტოს ქვემდებარე სასამართლოებს სახელმძღვანელოდ, რომ სამ. სამ. კოდ. 49 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს უფლების საერთო ხანდაზმულობის გაგრძელებას არ შეეფარდება შემოკლებულ ხანდაზმულობის ვადას, რომელიც გათვალისწინებულია სა-მოქალაქო სამ. კოდექსის 404 მუხლის შენიშვნაში და სხვა სპეციალურ კანონებით; იმ შემთხვევაში, როდესაც ხანდაზმულობის ვადის გაგრძელება შეუძლებელია (როგორც ამა განმარტების შემოდაღნიშნულ შემთხვევაში) სასამართლოს შეუძლია, განსაკუთრებულ შემთხვევაში, სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 62—63 მუხლების წესით, მხარეების გამოწვევით აღადგინოს ვადა ძიებითი განცხადების წარმოსადგენად, თუ ის იცნობს, რომ ვადა გაშვებულია საპატიო მიზეზების გამო.

5. იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლო მომწყობ განყოფილების მომართვა სისხლ. სამ. საპრ. კოდ. 54 მუხლის განმარტების შესახებ, ვალდებულია თუ არა დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი დანიშნოს დამცველთა კოლეგიის წევრი: 1. ბრალდებულის დაცვისათვის დაზარალებულის საჩივრის აღძრულ საქმეზე. 2. იმავე საქმეზე დაზარალებულის ინტერესების დასაცავად. 3. სისხლის სამ. საქმეებიდან გამომდინარე სამოქალაქო ძიების დაცვისათვის ისეთ საქმეზე, რომელშიაც სავალდებულოა პროკურორის მონაწილეობა. 4. ვალდებულია თუ არა სასამართლო საქმეების გასარჩევად განხილვამდე გამოარკვიოს ბრალდებულის მატერიალური მდგომარეობა და აცნობოს თავისი დადგენილება ბრალდებულს გაფრთხილებით, რომ თუ უარს არ იტყვის დამცველზე ან არ





აიყვანს შეთანხმებით, დაენიშნება სახაზინო დამცველი, რომლის გასამრჯელო გადახდება იმას. 5. სასამართლოს მიერ გამართლებულს გადახდება თუარა გასამრჯელო სახაზინო დამცველის სასარგებლოდ, უზენაეს სასამართლოს პლენუმმა დაადგინა: განემარტოს ქვემდებარე სასამართლოებს სახელმძღვანელოდ, რომ 1. თუ სისხლის სამართლის საქმეებში არ იღებს პროკურორი მონაწილეობას, სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს თხოვნა ბრალდებულის უფასო დამცველის დანიშვნის შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, რაც გათვალისწინებულია სისხლ. სამ. საპრ. კოდ. 54 მუხ. მე-2 პ., როდესაც სასამართლო ვალდებულია დანიშნოს უფასო დამცველი; 2. ბრალდებულს, დაზარალებულს და აგრეთვე სისხლის სამართლის საქმიდან გამომდინარე სამოქალაქო ძიების წარმომადგენელს მიუხედავად იმისა იღებს თუ არა საქმეში მონაწილეობას პროკურორი, უფასო დამცველი არ მიეცემა.

საკითხი იმ პირის მატერიალურ მდგომარეობის გამორკვევის შესახებ, რომელსაც მიეცემა უფასო დამცველი, და დამცველისათვის ჯილდოს მიცემის შესახებ, რიგიდან მოხსნილ იქმნეს უფრო მეტი მასალის დასაგროვებლად და პლენუმის შემდეგი სხდომისათვის მოსახსენებლად.

6. ს. ს. ს. რესპუბლიკის პროკურორის მომართვა სისხლ. სამ. საპრ. კოდექსის 454 მუხლის ახსნა-განმარტების

შესახებ, ჩაითვლება თუ არა წინასწარი დაპატიმრების დრო სასჯელის ნახევარ ვადაში, რომელიც შესაძლოა ჰქმნის მსჯავრდადებულის შესახებ აღიძრას ვადამდე პირობითი განთავისუფლების საკითხი და შეიძლება თუ არა აღიძრას აღნიშნული საკითხი იმ მსჯავრდადებულის შესახებ, რომელიც განაჩენის გამოტანის შემდეგ არ ყოფილა პატიმრობაში აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის გამო, თუმცა წინასწარ დაპატიმრებაში მან დაპყო სასჯელის ნახევარი დროის არანაკლები, და მიიღო რა მხედველობაში რომ სისხლ. სამ. საპრ. კოდ. 454 მუხლში სავსებით გარკვეულად არის ნათქვამი, რომ მსჯავრდადებულის მიერ განაჩენის ძალაში შესვლამდე პატიმრობაში გატარებული დრო უსათუოდ უნდა ჩაითვალოს სასჯელის ნახევარ ვადაში, რომ განაჩენის გამოტანის შემდეგ თავისუფლებაში ყოფნა არ უკარგავს მსჯავრდადებულს ვადამდე პირობით განთავისუფლების აღძვრის უფლებას, უზენაეს სასამართლოს პლენუმმა დაადგინა: განემარტოს, რომ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე პატიმრობაში გატარებული დრო უსათუოდ უნდა ჩაითვალოს სასჯელის ნახევარ ვადაში და უკეთუ მსჯავრდადებულმა წინასწარ პატიმრობაში გაატარა არა ნაკლებ ნახევარი სასჯელისა, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ის დაპატიმრებული განაჩენის გამოტანის შემდეგ, შეიძლება აღიძრას იმის შესახებ ვადამდე პირობით განთავისუფლების საკითხი.



## იურიდიული საზოგადოების მოღვაწეობიდან.

იურიდიულ საზოგადოებაში ა/წ. 10, 12 და 16 თებერვლის სხდომებზე განხილული იქნა ამიერკავკასიის წყლის მეურნეობის უფროსის ს. ბოგდატიევის მიერ წარმოდგენილი პროექტი წყლის კოდექსისა ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკისათვის, რომლის შესახებ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ა/წ. 10, 12 და 16 თებერვლის სხდომებზე, ერთის მხრივ, ამიერკავკასიის წყლის მეურნეობის უფროსის ს. ბოგდატიევის მოხსენება ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის წყლის კოდექსის პროექტის შესახებ, და მეორე მხრით, ამ პროექტის წინააღმდეგ წარმოდგენილი მოსაზრებანი საზოგადოების წევრთა და აგრეთვე სპეციალურად მოწვეული მკოდნე პირთა მიერ, იურიდიული საზოგადოება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ძირითადი საფუძვლები, რომელზედაც აშენებულია პროექტი, სრულებით მიუღებელია იმის გამო: 1) რომ იგი ეწინააღმდეგება ს. ს. რ. კავშირისა, ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკისა და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკების საკონსტიტუციო საფუძვლებს, და აგრეთვე საერთო საკავშირო კანონმდებლობას; 2) რომ წყლის მეურნეობის მმართველ-გამგეობაში გატარებულია უკიდურესი ცენტრალიზაცია, რომელიც ამიერკავკასიის წყლის მეურნეობას თავის დანიშნულებით დირექტიულ ორგანოს ქმნის ოპერატიულ ორგანოთ, ეს კი ადგილობრივ მოსახლეობას უსპობს ინტერესს და თაოსნობას წყლის მეურ-

ნეობის აღმშენებლობაში და რესპუბლიკანურ ორგანოების მშენებლობას აქარწყლებს ამ სფეროში; 3) რომ მასში გატარებულია შეხედულება სახელმწიფოზე, როგორც კერძო სამართლის სუბიექტზე წყლის სარგებლობის ნიადაგზე აღმოცენებულ ურთიერთობის სფეროში, და ამ შეხედულების შედეგია პროექტით ნაგულისხმევი წყლის სარგებლობის აშენება საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე, იმ დროს, როდესაც წყლის სარგებლობის საკითხში სახელმწიფო განსაკუთრებით შეიძლება განხილულ იქნეს როგორც საქვეყნო სამართლის ორგანო, რომელიც მხოლოდ აწესრიგებს წყლის სარგებლობის რეჟიმს; 4) რომ პროექტში გატარებული პრინციპი, თანახმად რომლისა მხოლოდ თავისი შემოსავლით ხარჯების დაფარვა შესაძლებელი იქნება წყლის სარგებლობის სასყიდელის გამოანგარიშებით არა იმის მიხედვით რამდენი წყალი იყო გამოყენებული, არამედ იმისი, რა შემოსავალი ჰქონდა მეურნეობას, აშენებულია თვითნებურად, არაფრით არ შეიძლება გამართლებულ იქნეს და ამ პრინციპის ცხოვრებაში გატარებამ მრავალ შემთხვევაში შეიძლება მოსახლეობას ხელი ააღებინოს წყლით სარგებლობაზე.

შემოაღნიშნულის ძალით იურიდიული საზოგადოება სცნობს, რომ მის განსახილველად წარმოდგენილი წყლის კოდექსის პროექტი ყოველად მიუღებელია. სრული ანგარიში საზოგადოების იმ სხდომებისა, რომელზედაც იყო გარჩეული აღნიშნული კანონპროექტი იქნება მოცემული შემდეგ ნომერში.



# ბიბლიოგრაფია

სერგი ჯაფარიძე. სავაჭრო სამართალი (1925 წ. გაზაფხულის ლექციებიდან.)

დიდი ხანი არ არის, რაც გამოვიდა ს. ჯაფარიძის ლექციები. წიგნის გამოსვლის მიზანი წინასიტყვაობაშია აღნიშნული. ამიტომ მისი შეფასება შეიძლება მხოლოდ იმ მხრივ, თუ რამდენად ეს მიზანი არის განხორციელებული.

წიგნს ემჩნევა, რომ მისი გამოცემა დაჩქარებული ტემპით სწარმოებდა და იყო გამოწვეული ქართულ სტუდენტებისათვის ასეთი სახელმძღვანელოს აუცილებელ საჭიროებით. მართლაც, ჩვენი სტუდენტობა ამ უამად დიდს გაჭირვებას განიცდის. თანამედროვე პირობები (ეკონომიური და უფლებრივი) საბჭოთა საზოგადოების არსებობისა არსებითად იმდენად არის განსხვავებული ბურჟუაზიული საზოგადოების ცხოვრების პირობებისაგან, რომ შესწავლა იმ მეცნიერულ ნაწარმოებისა, რომელიც შეფარდებულია საზოგადოების ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების სულ სხვა პირობებთან, ვერ მისცემს მოსწავლე ახალგაზრდობას საშუალებას სწორედ მიუდგეს საბჭოთა სავაჭრო სამართალს და მის პოლიტიკის საკითხებს, თუ ხელთ არა აქვს გზისმაჩვენებელი სახელმძღვანელო. საკანონმდებლო მასალის შესწავლა კი თხოულობს იურიდიულ საკითხების მეცნიერულად გაშუქებასა და დასაბუთებას.

იმ პირობაში, რომელშიაც ხსენებულ ლექციების კურსი გამოცემულ იქნა, მეცნიერების პრაქტიკა სახელმძღვანელოს ამკობს შემდეგი წარწერით: „ხელნაწერის უფლებებით“ (на правах рукописи). ს. ჯაფარიძეს ამ პრაქტიკისათვის არ მიუშვრთავს, ვგონებ, იმიტომ, რომ მას არ დაუსახავს მიზნათ მისცეს მკითხველებს მეცნიერული სისტემის მხრივ დამთავრებული სახელმძღვანელო და ამა თუ იმ უფლებრივ ინსტიტუტზე თუ საკითხებზე სხვა მეცნიერებისაგან განსხვავებული შეხედულება და გადაშალოს ფურცლების მთელი რიგი სადავო თეორიულ საკითხებზე განსაკუთრებული აზრის დასამუშავებლად. მისი მიზანი უფრო ვიწრო ფარგლებით არის მოხაზული—მისცეს უნივერსიტეტში მოსწავლე ახალგაზრდობას სახელმძღვანელო, რომლის საშუალებითაც იგი შესძლებს ლექტორის მიერ წაკითხული მოიგონოს, მეხსიერებაში აღბეჭდოს და იმ საკანონმდებლო მასალაში გაერკვიოს, რომელიც ლექტორის გამოკვლევის საგანს შეადგენდა. ამ მხრივ მიზანი არის მიღწეული. წიგნი დაწერილია საგნის დიდის ცოდნით.

წიგნის შინაარსი, დაგროვილი მასალის დამუშავება და საბჭოთა სავაჭრო კანონმდებლობის ხასიათი და და მიმართულება იმდენად კარგათაა გადმოცემული, რომ რაც ნაკლი უნდა ჰქონდეს ლექციების კურსს სამეცნიერო სისტემის თვალსაზრისით, მას ვერ წაერთმევა ერთგვარი ღირსება და მნიშვნელობა სტუდენტებისათვის სახელმძღვანელოსი. იმ დროს, როდესაც ქართულ ენაზე

უფლებრივი საკითხები მეცნიერულად ნაკლებათ არის დამუშავებული, ასეთი წიგნის გამოსვლას უნდა მიეწეროს დიდი მნიშვნელობა და, მართლაც, იგი აქვს არა მარტო სტუდენტებისათვის, რომელთაც ეს წიგნი გაუადვილებს სავაჭრო სამართლის ნორმების გაგებას და შესწავლას, არამედ პრაქტიკოსებისათვისაც, რომლებსაც მის საშუალებით შეუძლიან გაეცნონ არა მარტო საქართველოში და საზოგადოდ საბჭოთა კავშირში მომქმედ სავაჭრო სამართალს, არამედ ბურჟუაზიული საზოგადოების სავაჭრო კანონმდების პრინციპებსაც. ეს უკანასკნელი გარემოება იძლევა საშუალებას საბჭოთა სავაჭრო სამართალზე და პოლიტიკაზე სწორი შეხედულების გამომუშავებისათვის. ამას ბევრად შეუწყობდა ხელს ის გარემოება, ლექციებში რომ ყოფილიყო არა გაკვრით, არამედ ვრცლად გაშუქებული ვაჭრობის არსებობისა და წარმოების სოციალ-პოლიტიკური პირობები. საჭირო იყო ავტორს მეტი ყურადღება შეეჩერებია ამ საკითხზე, ვიდრე მიეცა საერთო სამოქალაქო სამართლის საკითხებისათვის ის ადგილი, რაც მათ ამ წიგნში უკავია.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ს. ჯაფარიძის ლექციებში შედარებით დიდი ადგილი უკავია რკინის გზის სამართალს. არ ვფიქრობთ, რომ ავტორი სთვლიდეს რკინის გზის სამართალს სავაჭრო სამართლის დარგათ, ნაწილათ. თუ სამართლის მეცნიერების რომელიმე დარგისთვის რკინის გზის სამართლის მიკუთვნება შეიძლება, ეს არის სამოქალაქო სამართალი, რომლის განსაკუთრებულ დარგს თავის ბუნებით იგი უნდა შეადგენდეს. ჩვენის აზრით, სავაჭრო სამართლის კურსში რკინის გზის სამართლის ზოგი საკითხები იმდენად უნდა შევიდეს, რამდენადაც რკინის გზის სატრანსპორტო, სასაწყობო და საკომისიო ოპერაციები ვაჭრობასთან არის დაკავშირებული და ვაჭრობის წარმოების ერთგვარ, გამაადვილებელ პირობებს შეადგენს. ამიტომ უნდა ითქვას, რომ სავაჭრო სამართლის მეცნიერებამ ტვირთის გადაზიდვის უნდა შეეხოს მხოლოდ იმ მხრივ, თუ რა ეკონომიური და უფლებრივი პირობებია რკინის გზის ტრანსპორტის ექსპლოატაციისათვის და რა ადგილი უკავია და უნდა ეკავოს გადაზიდვის ხელშეკრულების დამამტკიცებელ დოკუმენტებს (სატვირთო ბარათის (ზედნადების) დუბლიკატებს) ვაჭრობისა და საკრედიტო სფეროში.

მიუხედავად აღნიშნულისა და სისტემის მხრივ წიგნის იმ ნაკლისა, რომ მასში საერთო ნაწილი არ არის გამოყოფილი, მეცნიერული მნიშვნელობა მას როგორც სახელმძღვანელოს არ ეკარგება. წიგნი ამტკიცებს, რომ ავტორი არა მარტო ჩინებულ პრაქტიკოსია, არამედ სამეცნიერო სამუშაოსთვის საესებით მომზადებულიცაა.

კ. მიქელაძე.





# თეზიზური ნაწილი.

## დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისრისა და ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისრის ჩწმუნებულისა საქართველოში.

იმ ხელშეკრულების განთავისუფლების შესახებ სანოტარო მოქმედების სასყიდლისაგან, რომელსაც შრომის სახალხო კომისარიატის სოციალური დაზღვევის სამმართველო დასდებს მთავარ საკურორტო სამმართველოდან.

სანოტარო მოქმედების სასყიდლის ნიხრის 1-მუხ. 1-შენიშვნას დაემატოს შემდეგი:

„სანოტარო მოქმედების სასყიდლისაგან თავისუფალი ის ხელშეკრულება, რომელსაც შრომის სახალხო

კომისარიატის სოციალური დაზღვევის სამმართველო და მისი ქვემდებარე ორგანოები დასდებენ მთავარ საკურორტო სამმართველოსთან და რომლითაც ისინი დაიქირავენ სანატორიულ და სხვა სამკურნალო საკურორტო დაწესებულებას განსაკუთრებით მუშების და მოსამსახურეების უსასყიდლოდ წამლობისათვის.“

იუსტიციის სახალხო კომისარი ი. ვარძიელი.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისრის ჩწმუნებულის საქართველოში ი. ფანცხავა.

7/1—26 წ. № 213.



## დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისრისა და ფინანსთა სახალხო კომისარისა.

სასამართლოს აღმასრულებელთა გასამჯელოს ნიხრის მე-16 მუხლის შენიშვნისა და 16 მუხლის შეცვლის შესახებ.

თანახმად ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. დეკემბრის 28-ს დადგენილებისა რესპუბლიკის შემოსავლად პროცენტულ ანარიცხის დაწესების შესახებ იმ თანხებიდან, რომელთაც სასამართლოს აღმასრულებელნი ნიხრით იღებენ სასამართლო ორგანოთა დადგენილებათა და გადაწყვეტილებათა აღსრულების გამო, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარი და ფინანსთა სახალხო კომისარი ადგენენ: სასამართლოს აღმასრულებელთა გასამჯელოს შესახებ 1924 წელს თებერვლის 20 დამტკიცებულ ნიხრის (ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ოს „მოამბე“ 1924 წ. № 5) მე-15 მუხლის შენიშვნა და 16 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 15. შენიშვნა. სახელმწიფო ორგანოს და სახელმწიფო საწარმოს, რომელიც არ იხდის სასამართლოს ბაჟს, შეაქვს ამ ნიხრით დაწესებული გამოსაღების მხოლოდ 25%, რაც გადადის სასამართლოს აღმასრულებლის სასარგებლოდ.

მუხ. 16. ზემოაღნიშნულ გამოსაღებებიდან 75% ჩაირიცხება სახელმწიფოს შემოსავლად, დანარჩენი 25% კი გადადის იმ სასამართლო აღმასრულებელის სასარგებლოდ, რომელიც ასრულებს გადაწყვეტილებას.

შენიშვნა. ზემოთ მოხსენებული წესი ვრცელდება ყველა იმ ორგანოზე, რომელიც ფაქტიურად ასრულებს გადაწყვეტილებას (მილიცია და სოფლის მოხელე).

იუსტიციის სახალხო კომისარი ი. ვარძიელი.

ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე ი. ფანცხავა.

1926 წ. მარტის 2.

ქ. ტფილისი.



## განმარტება

იუსტიციის სახ. კომისარიატისა მიწის კოდექსის 45 მუხ. შესახებ.

ვინაიდან ადგილობრივ ხშირად სწორედ არ ესმით და გაუგებრობას იწვევს მიწის კოდექსის 45 მუხლი, იუსტიციის სახ. კომისარიატი განმარტავს:

მიწის კოდექსის 45 მუხლით „სასამართლოს არ შეუძლიან გადასწყვიტოს კომლის ქონებიდან კომლის წევრთა (მათ შორის კომლის მეთაურისაც) ისეთი ვალის

გასტუმრება, რაც აღებულია წევრის პირადი საჭიროებისათვის.“

მაშასადამე ამ მუხლით არსებობს, ერთი მხრივ, კომლის ქონება, ე. ი. ისეთი ქონება, რომელიც ეკუთვნის ყველა იმ პირთ და მათ საერთო სარგებლობაშია, ვინც ერთად, ერთ ოჯახად სცხოვრობენ და საერთო



შრომით ეწევიან სოფლის მეურნეობას, ხოლო მეორე მხრივ—კომლის თვითეულ წევრს შეუძლიან იქონიოს თავისი ცალკე ქონება, რომელიც მხოლოდ მის პირად სარგებლობაშია.

მიწის კოდექსის 51 მუხლით პირადი სარგებლობის ქონება არის ისეთი ქონება, რაც კომლის ცალკე წევრს შეუძენია თვისი პირადი ხარჯით და აგრეთვე ისეთიც, რომელიც, თანახმად ადგილობრივი ადათ-ჩვეულებისა, ითვლება კომლის ცალკე წევრთა კუთვნილებად.

ესევე განიჩევა კომლის ქონება ცალკე წევრთა ქონებისაგან კომლის გაყოფის დროს; თანახმად მიწის კოდექსის 47 მუხლისა „კომლის გაყოფა ნიშნავს იმას, რომ მისი მიწები და საერთო ქონება განაწილდება ცალკე სარგებლობისათვის კომლის შემადგენელ ოჯახებსა ან წევრთა შორის, განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა.“

და თუ კანონი ესე მკაფიოდ და მტკიცედ განარჩევს კომლის ქონებას ცალკე წევრის ქონებისაგან, მაშინ ადვილად გასაგებია ისიც, რომ კომლის წევრთა, მათ შორის კომლის მეთაურის, კერძო ვალი უნდა გასტუმრებულ იქნეს ამ წევრთა პირადი და არა მთელი კომლის ქონებით. საერთო წესით კომლი პასუხს აგებს მთელი თავის ქონებით მხოლოდ იმ ვალდებულების გამო, რომელიც დადებულია კომლის ინტერესების გულისთვის. თუ მაგალითად კომლის რომელიმე წევრმა ვალი აიღო ისეთი საქმისათვის, რითაც მთელმა კომლმა ისარგებლა,

ამ შემთხვევაში ეს ვალი უნდა გაისტუმროს კომლის საერთო ქონებამ და გადახდევინებაც უნდა ამ ქონებაზე იქნეს მიქცეული.

მაგრამ რადგანაც ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას არა მარტო ხელშეკრულებით, არამედ კანონში გათვალისწინებული სხვა საფუძველითაც, კერძოდ—უსაფუძვლო გამდიდრებისა და სხვა პირისათვის მიყენებული ზიანის გამო (სამოქ. სამ. კოდ. 106 მუხ.), ამიტომ ყველა ამ შემთხვევაში, რა საფუძველითაც არ უნდა იყოს ვალდებულება წარმოშობილი, პასუხს აგებს კომლის წევრი თავისი პირადი და არა მთელი კომლის ქონებით.

აქედან ჩვენ იმ დასკვნას უნდა დავადგეთ, რომ უკეთეს კომლის წევრს დაედება საქვეყნო ხასიათის სასჯელი, მაგალითად, ფულადი ჯარიმა, დადებული სისხლის სამართლის სასჯელად, ქონების კონფისკაცია სასამართლოს წესით, ან და ჯარიმა, დადებული ადმინისტრაციული წესით, ამ შემთხვევაში აღნიშნული წევრი პასუხს აგებს მხოლოდ თავისი პირადი ქონებით. ხოლო უკეთეს კომლის წევრს სრულიად არა აქვს თავისთვის ცალკე ქონება, მისი ვალი შეიძლება გადახდეს კომლის საერთო ქონებას, მაგრამ ამასთან მარტოდონ იმდენი, რაც კი არ აღემატება ამ წევრის წილს საერთო ქონებაში.

იუსტიციის სახალხო კომისარი ი. ვარძიელი.  
მე-III განყოფილების განგე ი. როინიშვილი.  
1926 წ. 7 იანვარი. № 222.

## განმარტება

### იუსტიციის სახალხო კომისარიატისა

საბჭ. სოც. რეს. კავშირის მთავრობის მიერ გამოცემულ კანონთა და განკარგულებათა, აგრეთვე ამავე კავშირის საუწყებო განკარგულებათა ძალაში შესვლის დროის შესახებ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატში შემოსულ ცნობებიდან სჩანს, რომ ადგილობრივ სხვადასხვანაირად ესმით საკითხი იმის შესახებ, თუ საქართველოს ტერიტორიაზე რა დროიდან შედის ძალაში საბჭ. სოც. რეს. კავშირის კანონი. ამიტომ იუსტიციის სახალხო კომისარიატს საჭიროდ ზიანია განმარტოს, რომ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს ს. ს. რ. კავშირის ც. ა. კ-ტის მიერ 1925 წ. თებერვლის 6 გამოცემული დადგენილების მიხედვით (გამოქვეყნებულია ს. ს. რ. კავშირის კან. კრებ. № 8—1925 წ. და „იზვესტიაში“—1925 წ. № 34), რომლის ძალითაც როგორც საკავშირო მთავრობის კანონი და განკარგულება, ისე განკარგულება იმავე კავშირის ცალკე უწყებისა, ჩვენშიც, საქართველოში მექანიკურად შედის ძალაში ც. ა. კ-ტის 1925 წ. თებერვლის 6-ის დადგენილებით განსაზღვრული დროიდან, სახელდობრ:

1. ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, მისი პრეზიდიუმის, სახალხო კომისართა საბჭოსი და შრომისა და თავდაცვის საბჭოს ყველა დადგენილება, გამოქვეყნებული ს. ს. რ. კავშირის მუშა-

თა და გლენტა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულსა, ს. ს. რ. კ. ც. ა. კ-ტის „იზვესტიასა“ და გაზეთ „ეკონომიურ თიზნ“-ში ძალაში შედის: მოკავშირე რესპუბლიკის დედა-ქალაქსა და მის მაზრაში—დღიდან ერთ-ერთი ზემოთაღნიშნული გამოცემის სათანადო ნომრის მიღებისა მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში; საგუბერნიო ქალაქსა და მის მაზრაში—დღიდან აღნიშნული ნომრის მიღებისა გუბერნიის აღმასრულებელ კომიტეტში, ხოლო დანარჩენ ქალაქებსა და მაზრებში—დღიდან ამ ნომრის მიღებისა მაზრის აღმასრულებელ კომიტეტში.

2. ს. ს. რ. კავშირის ცალკე უწყების განკარგულება (დადგენილება, ცირკულიარი, ინსტრუქცია და სხვ.), გამოქვეყნებული პირველ მუხლში აღნიშნულ გამოცემებში, ძალაში შედის ამავე პირველი მუხლის მიხედვით, ის განკარგულება კი, რომელიც მხოლოდ საუწყებო პერიოდულ გამოცემაშია გამოქვეყნებული, აგრეთვე ისიც, რომელიც საუწყებო გამოცემაში უფრო ადრეა გამოქვეყნებული, ვიდრე პირველ მუხლში აღნიშნულ გამოცემებში, ძალაში შედის: დედა-ქალაქსა, საგუბერნიო და სამაზრო ქალაქებსა და მათ მაზრებში დღიდან სათანადო ნომრის მიღებისა აღნიშნული უწყების იმ ხელმძღვანელ დაწესებულებათა მიერ, რომელიც ამ ქალაქში არიან; ხოლო უკეთეს უწყებას ადგილობრივ სპეციალური ოლქები აქვს, საუწყებო განკარგულება ამ ოლქებისა და მათ





დანაყოფებში ძალაში შედის დღიდან სათანადო ნომრის მიღებისა აღნიშნული უწყებების ადგილობრივ ორგანოთა მიერ.

3. უკეთეს კანონისა და განკარგულების ძალაში შესვლის ვადა თვით ამ კანონსა თუ განკარგულებაშია აღნიშნული, იგინი ძალაში შევიდნენ ყველგან ამ ვადაზე.

4. უკეთეს კანონსა თუ განკარგულებაში აღნიშნულია, რომ იგი ძალაში შედის დღეებით ან რადიოდღეებით გადაცემისათვის, ეს კანონი და განკარგულება ძალაში შევიდნენ მოკავშირე რესპუბლიკის დედა-ქალაქსა, საგუბერნიო ქალაქსა, სამაზრო ქალაქსა და მის მაზრებში—დეპუტის ან რადიოდღეების მიღების დროიდან ცენტრალურ, საგუბერნიო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებში (1 მუხ.).

5. დადგენილება, რომელიც არ უნდა იყოს გამოქვეყნებული, სავალდებულოა დაწესებულებაში მისი მიღების დროიდან, რომელსაც იგი ეცნობება.


6. ყველა აღმასრულებელი კომიტეტი ვალდებულია ზედმიწევნით აღნუსხოს ამა დადგენილების 1 მუხლში აღნიშნულ ოფიციალურ გამოცემათა ნომრების მიღების დრო. ესევე ვალდებულია აღნუსხოს ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნულ საუწყებო გამოცემათა ნომრების მიღების დრო იმ დაწესებულებაში, რომელიც ამ ნომრებს იღებს.

იუსტიციის სახალხო კომისარი ი. ვარძიელი.

მე-3 განყოფილების გამგე—ი. როინაშვილი.

1926 წ. იანვრის 11, № 695.

ქ. ტფილისი.



## ინსტრუქცია

### ყველა სახალხო სასამართლოს და სამაზრო აღმასკომს.

**ინსტრუქცია სახალხო სასამართლოთა მუშაობის შესახებ ანგარიშების კამპანიის ჩასატარებლად მომავალ წინა-საარჩევნო და საარჩევნო კრებებზედ თემსა და მაზრაში.**

იმ მიზნით, რათა გლეხობის ფართო მასა გავაცნოთ მართლმსაჯულების მუშაობის და გლეხთა ორგანოების მუშაობას და მისთვის უფრო ვასაგები ვაგხადოთ სასამართლოს მუშაობის ყველაზედ უფრო მნიშვნელოვანი მომენტები, საჭიროა სავსებით გამოვიყენოთ მომავალი ხელახალი არჩევნები საბჭოებში და ნათელვყოთ მშრომელთათვის დაბალი საფეხურის სასამართლო აპარატის მუშაობა. სახალხო სასამართლომ უნდა წარადგინოს თავის მუშაობის ანგარიში და აღნიშნოს, თუ რამდენად განუხორციელებია სასამართლოს მუშაობა და გლეხთა კლასობრივი ინტერესების დაცვა. იგი მოვალეა გააშუქოს ამ მუშაობის ყველა პირობა და ყოველი გარემოება, რაც აფერხებს მართლმსაჯულების ნორმალურ მსვლელობას. ეს აუცილებლად საჭიროა იმ ამოცანის განსახორციელებლად, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლებამ მიანიჭა უაღრესი მნიშვნელობა, სახელდობრ, იმისათვის, რომ გლეხობის ფართო მასა—მისი ღარიბი და საშუალო ფენები ჩაიბას სახელმწიფო მართველობასა და, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა ხელისუფლების დაბალ საფეხურის ორგანოთა მუშაობაში. ყველა ზემოაღნიშნულის გამო იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატები წინადადებას აძლევენ:

1) სახალხო სასამართლოებს—დაუყოვნებლივ შეუდგნენ ყველა იმ მასალის შეკრფვას და დამუშავებას, რაც საჭირო იქნება თემსა და მაზრებში წინა-საარჩევნო ყრილობებზე მოხსენებისათვის,

და ამასთანავე შეიმუშავონ შემდეგი ძირითადი თეზისები:

1. სახალხო სასამართლოს პირადი შემადგენლობის დახასიათება.

2. რამდენად გამოსადეგია სახალხო სასამართლოს სადგომი, მისი მოწყობილება, რა თანხა გაუტია

ხარჯებისათვის, ჰფარავს თუ არა ეს თანხა სახალხო სასამართლოს ყველა საჭიროებას.

3. ეძლევა თუ არა თავის დროზე ჯამაგირი სახალხო მოსამართლეს და კანცელარიას, საკმარისია თუ არა კანცელარიის შტატი.

4. როგორი იყო სახალხო სასამართლოს ხარჯთაღრიცხვა და რამდენი ფული გაიღო მან 1925 წლის იანვრის 1-დან 1926 წლის იანვრის პირველამდე.

5. იყო თუ არა მოწყობილი აღნიშნულ დროის განმავლობაში სახალხო სასამართლოს მიმომსვლელი სესია ყველა თემში და თუ არა, რა მიზეზით; რა მნიშვნელობა აქვს თემში მიმომსვლელ სესიების მოწყობას სასამართლოს გლეხობის ფართო მასასთან დაახლოებისათვის (გაადვილებულია მხარეთათვის სასამართლოში გამოცხადება, გაადვილებულია აგრეთვე და უფრო მოსახერხებელია სასამართლოსადმი მიმართვა, გაადვილებულია სახალხო მსაჯულთა დაბარება და გამოცხადება), შეუძლია თუ არა თემს გაუწიოს დახმარება სესიის მოწყობას.

6. სახალხო მსაჯულთა მოვალეობა და მისი მნიშვნელობა საბჭოთა მართლმსაჯულებისათვის.

7. ვის ინტერესებს იცავს საბჭოთა კანონი და სასამართლო.

8. რამდენი საქმე შემოვიდა სახალხო სასამართლოში 1925 წლის იანვრის 1-დან 1926 წლის იანვრის 1-ამდე, რამდენი არის გადაწყვეტილი და რამდენი დარჩა.

9. სასამართლოს მნიშვნელობა რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცებისათვის.

10. დამცველთა კოლეგიის მნიშვნელობა მოსახლეობისათვის იურიდიულ დახმარების გაწევის საქმეში.

11. რა ხასიათის სამოქალაქო საქმეები სჭარბობენ თემსა და მაზრებში.

12. რა გვარი დანაშაული მატულობს.

13. რა არის საჭირო სასამართლოს მუშაობის სათანადო დაყენებისათვის მაზრაში.

აღნიშნული თეზისები უნდა დამუშავდნენ დაუ-



ყოვნებლივ და მიღებულ უნდა იქმნეს ღონისძიება, რათა გატარდეს გაცხოველებული კამპანია სახალხო სასამართლოების მუშაობის შესახებ ანგარიშგების დარგში.

სახალხო სასამართლოს მუშაობის შესახებ მოხსენება უნდა გააკეთოს:

ა) სათემო კრებაზე—სახალხო მოსამართლემ, ბ) სამაზრო კრებაზე—ოლქის სასამართლოს სამაზრო რწმუნებულმა.

2) მაზრის აღმასკომმა უნდა შეიტანოს თემსა და მაზრაში წინა - საარჩევნო და საარჩევნო კრებების დღიური წესრიგში საკითხი სახალხო სასამართლოს მუშაობის შესახებ 1925 წლის იანვრის 1-დან 1926 წლის იანვრის 1-მდე, იმ ანგარიშით, რომ მოხსენებათა გათავების შემდეგ აღმასკომებმა ამომწურველი პასუხი გას-

ცენ მათთვის მოხსენებასთან დაკავშირებით დასმულ საკითხებზე.

სახალხო სასამართლოს მუშაობის შესახებ ანგარიშგების კამპანია უნდა ჩატარდეს დამკვეთი წესით, სახალხო სასამართლოს მკიდრო კონტაქტით სამაზრო აღმასკომთან, რომელიც, როგორც სახალხო მოსამართლეების ამრჩევი ორგანო, პასუხისმგებელია მის მიერ ამორჩეულთა მუშაობისათვის.

კამპანიის შედეგების შესახებ სახალხო მოსამართლემ და ოლქის სასამართლოს რწმუნებულმა თავის დროზე უნდა წარმოუდგინოს მოხსენება იუსტიციის სახალხო კომისარს.

იუსტიციის სახალხო კომისარი ი. ვარძიელი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი შ. მათიკაშვილი.  
1926 წ. იანვრის 14 №715.

## ინსტრუქცია

### შინაგან საქმეთა და იუსტიციის სახალხო კომისარიატებისა მოქალაქეთა მიერ თავისი გვარის (მეტი სახელის) ან სახელის გამოცვლის წესისათვის.

თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისარიატის 1925 წლის დეკემბრის 13-ის დადგენილებისა, გვარის (მეტი სახელის) და სახელის გამოცვლის დროს შინაგან საქმეთა და იუსტიციის სახალხო კომისარიატები წინადადებას იძლევიან სახელმძღვანელოდ მიღებულ იქნეს შემდეგი:

1. განცხადება გვარის (მეტი სახელის) და სახელის გამოცვლის შესახებ უნდა სათანადო საღერბო გამოსაღების გადახდით შეტანილ იქნეს იმ მაზრის—ქალაქის „მმაჩ“-ის ორგანოში, სადაც გვარის (მეტი სახელის) ან სახელის გამოცვლის მსურველი სცხოვრობს.

2. განცხადებაში უნდა აღინიშნოს:

ა) გვარის (მეტის სახელის) ან სახელის გამოცვლის მსურველის სახელი, მამის სახელი და გვარი;

ბ) მისი სოციალური მდგომარეობა;

გ) მისი ოჯახური მდგომარეობა;

დ) მისი დაბადების ადგილი და დრო;

ე) ცნობები შვილების შესახებ: მათი სახელი, დაბადების წელი, თვე, რიცხვი და ადგილი. აქვე უნდა აღინიშნოს თვითეული მათგანი განმცხადებლის ეხლანდელ ქორწინებაშია გაჩენილი თუ წინანდელში;

ვ) ყველა ის ქალაქი და ადგილი, სადაც კი განცხადების შემოტანამდე უცხოვრია გვარის ან სახელის გამოცვლის მსურველს;

თ) ახალი გვარი (მეტი სახელი) ან სახელი.

**შენიშვნა.** მოქალაქე ტყუილი ცნობისათვის პასუხისგებაში იქნება მიცემული სისხლ. სამ. კოდე. 99 მუხლისამებრ.

3. მოქალაქე, რომელსაც სურს გვარის ან სახელის გამოცვლა, ვალდებულია წარუდგინოს „მმაჩ“-ის სათანადო ადგილობრივ ორგანოს თავისი ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ან ამ დოკუმენტების საწარმოო წესით შემოწმებული ასლები (ვინაობის მოწმობა, ამონაწერი დაბადების შესახებ და თუ განმცხადებელი დაქორწინებულია—ქორწინების შესახებ).

4. გვარის ან სახელის გამოცვლის განცხადების მიღებისას „მმაჩ“-ის ორგანოს გამგემ უნდა შეადგინოს განცხადების მიღების შესახებ ოქმი და გამოაქვეყნოს განმცხადებლის ხარჯზე ოფიციალურ გაზეთში და გაზეთ „კომუნისტ“-ში. გარდა ამისა „მმაჩ“-ს ორგანო განცხადების შესახებ აცნობებს იმ დაწესებულებათ, რომელნიც აწარმოებენ გასამართლებულთა სიებს: იუსტიციის სახ. კომისარიატს, ცენტრალურ სისხლის სამართლის მაძიებელ მილიციას და საქართველოს საგანგებო კომისიას.

5. უკეთუ მეუღლე ან სრულწლოვანი შვილი (არა ნაკლებ 18 წლისა) იმ პირისა, რომელიც გვარს (მეტი სახელს) იცვლის, მოისურვებენ ახალი გვარის მიღებას, მათ უნდა შემოთაღნიშნული წესით შეიტანონ, მეუღლესა ან მშობლებთან ერთად, ან მათგან ცალკე, „მმაჩ“-ის ორგანოში სათანადო განცხადება.

6. არასრულწლოვან შვილს ახალი გვარი (მეტი სახელი) მიეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივე მშობელი მიიღებს ამ ახალ გვარს, ან შესთანხმდებიან მისცენ შვილს ერთ-ერთი მეუღლის ახალი გვარი.

7. იმ არასრულწლოვან შვილისათვის ახალი გვარის მისაცემად, რომელიც ერთ-ერთი მეუღლის წინა ქორწინებაშია გაჩენილი, საკმარისი არ არის მეუღლეთა თანხმობა; აქ აუცილებლად საჭიროა აღნიშნული არასრულწლოვანის ბავშვის ნამდვილი მშობლების თანხმობაც.

8. „მმაჩ“-ის ადგილობრივმა ორგანომ ორი თვის შემდეგ დღიდან განცხადების ოქმის (4 მუხ.) გამოქვეყნებისა გაზეთ „კომუნისტ“-ში, უნდა გვარის (მეტი სახელის) ან სახელის გამოცვლა, დადგენილი წესით, გაატაროს სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩამწერ განყოფილების სარეგისტრაციო წიგნებში.

9. სარეგისტრაციო წიგნებში გვარის (მეტი სახელის) ან სახელის გამოცვლის გატარების შემდეგ ახალი გვარი (მეტი სახელი) ან სახელი შეაქვთ ყველა მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტებში, რისთვისაც „მმაჩ“-ის ორგანომ, სადაც გატარდა გვარის (მეტი სახელის) ან



სახელის გამოცვლა, ეს უნდა აცნობოს იმ „მმაჩ“-ის ორგანოს, სადაც ინახება გვარ ან სახელ გამოცვლილის დაბადებისა და ქორწინების ჩანაწერი, თუ კი იგი დაქორწინებულია. გარდა ამისა „მმაჩ“-ის ორგანომ გვარის (მეტი სახელის) ან სახელის გამოცვლის რეგისტრაცია უნდა აცნობოს ამა ინსტრუქციის მე-4 მუხ. აღნიშნულ დაწესებულებათ და აგრეთვე შინ. საქ. სახკომის ცენტრალურ „მმაჩ“-ს.

10. ადგილობრივ „მმაჩ“-ის ორგანოებს ევალებათ აწარმოონ გვარ (მეტ-სახელ) და სახელ გამოცვლილ პირთა აღფაბეტი.

11. შინსახკომის ცენტრალურ „მმაჩ“-ს ევალება

აწარმოოს იმ პირთა სააღფაბეტო რეგისტრაციის გვარი (მეტი სახელი) და სახელი გამოუცვლია (საქართველოს რესპუბლიკის მასშტაბით).

12. ამა ინსტრუქციის გამოცემისათანავე გაუქმებულია შინსახკომის მიერ გვარის ან სახელის გამოცვლის შესახებ ყველა წინათ გამოცემული განკარგულება და ცირკულარი.

1926 წ. 13 თებერვალი № 1763.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **შ. მათიკაშვილი.**

იუსტიციის სახალხო კომისარი **ი. ვარძიელი.**

# ცირკულარები

იუსტიციის სახალხო კომისარიატისა.

## ცირკულარი № 1

**ოლქის სასამართლოებს, ყველა სახალხო სასამართლოს.**

ასლი: უზენაეს სასამართლოს და აფხაზეთის ს.ს. რ., ჯვარის ა.ს.ს.რ. და სამხრეთ ოსეთის ა.ო. იუსტ-სახკამებს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმსრულებელი კომიტეტის მე-III მოწვევის მე-2 სესიის მიერ საადგილმამულო დავის განხილვისათვის (მიწის კოდექს. 161—166 მუხ.) გამოცემული დადგენილების ცხარეებაში გასტარებულად.

ვინაიდან სრულიად საქართველოს საბჭოთა ც. ა. კ-ტის მე-III მოწვევის მე-2 სესიის დადგენილებით (დადგენილება საადგილმამულო დავის განხილვის შესახებ) ყველა საადგილ-მამულო დავა, აღძრული მიწათმოყვობის დროს, აგრეთვე ისეთი დავაც, რაც მიწათსარგებლობას შეეხება, უნდა გადაწყვეტილ იქნეს რაიონის და მაზრის საადგილმამულო სასამართლო კოლეგიებისა და მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის საადგილმამულო საბჭოს მიერ, იუსტიციის და მიწათმოქმედების სახ. კომისარიატები ადგენენ:

1. ყოველი მიწის მოსარგებლეთა შორის მიწათმოყვობის პროცესის გარეშე აღძრული საადგილმამულო დავის საქმე, რაც კი სასამართლო დაწესებულებათა წარმოებაშია, უნდა გადაეცეს საადგილმამულო სასამართლო ორგანოთ ქვემდებარეობისამებრ. ამავე ორგანოთ უნდა გადაეცეს აგრეთვე მიწათმოყვობის დროს აღძრული საადგილ-მამულო დავის ისეთი საქმე, რაც კი ზემოთაღნიშნული კანონის გამოქვეყნებამდე არსებითად არ გადაწყვეტილია სასამართლო დაწესებულებას და საადგილ-მამულო ორგანოს.

2. სასამართლოს გადაწყვეტილება საადგილ-მამულო დავის საქმეზე, გამოტანილი სრულიად საქ. ც. ა. კ-ტის ზემოთაღნიშნული დადგენილების („საადგილმამულო დავის განხილვის შესახებ“-მიწ. კოდ. 161—166 მუხ.) გამოქვეყნებამდე, შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 235 და მის შემდგომ მუხლებისამებრ, ხოლო საჩივარი ყველა იმ დადგენილებაზე, რასაც აღნიშნული დროის განმავლობაში გამოიტანს სამაზრო მიწათმოქმედების განყოფილების კოლეგია, უნდა შეტანილ იქნეს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის საადგილ-მამულო საბჭოში ერთი კვირის ვადაზე დღიდან განსაჩივრებული დადგენილების გამოტანისა.

3. იმ შემთხვევაში, უკეთუ მეორე ინსტანციის სასამართლომ საკასაციო წესით, ან და უზენაესმა სასამართლომ სასამართლო გადაწყვეტილებათა გადათვლიერების წესით (სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 250—254 მუხ.), გააუქმა გადაწყვეტილება საადგილმამულო დავის საქმეზე, ეს საქმე უნდა დაუბრუნდეს ხელახლი განსახილველად პირველი ინსტანციის საადგილ-მამულო სასამართლო ორგანოს ქვემდებარეობისამებრ (მიწის კოდ. 163 მუხ.). ესევე უნდა წარიმართოს საქმე იმ შემთხვევაშიაც, უკეთუ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის საადგილმამულო საბჭომ გააუქმა სამაზრო მიწათმოქმედების განყოფილების კოლეგიის დადგენილება.

იუსტიციის სახალხო კომისარი **ი. ვარძიელი.**

მიწათმოქმედების სახალხო კომისარის მოადგილე **მ. ძამანაშვილი.**

1926 წ. იანვრის 7.  
№ 278.



**ცირკულარი № 2.**

**ყველა ნოტარუსს და ოლქის სასამართლოების რწმუნებულთ.**

ასლი ცნობისათვის: უზენაეს სსსამართლს, ოლქის სასამართლოებს და აფხაზეთის, აჭარის და სსმსკეთის ოლქის იუსტიციის სსხ. კომისარიატებს.

**სოფლის შენობების გასხვისების აქტების შესახებ.**

ვინაიდან ადგილობრივ გაუგებრობას იწვევს სოფლის შენობის გასხვისების საკითხი, ამიტომ იუსტიციის სსხ. კომისარიატი თავის 1924 წლ. ნოემბრის 24-ს 56 ნომრით გამოცემულ ცირკულარის დასამატებლად განმარტავს, რომ შენობის გასხვისების წესი აღნიშნულ № 56 ცირკულარში შეეხება ყველა იმ შემთხვევას, როდესაც იყიდება სოფლის შენობა, დამოუკიდებლად იმისა ყიდულობენ ამ შენობას სხვა ადგილზე გადასატანად, თუ მყიდველს სურს გამოიყენოს ეს შენობა იმ სამოსახლკარო მიწით, რაზედაც იგი აგებულია.

იუსტიციის სახალხო კომისარი **ი. ვარძიელი** სასამართლოს მომწყობი და ზედამხედველობის განყოფილების გამგე **ე. ჩახუნაშვილი**

**ცირკულარულად.**

**ყველა სასამართლოს აღმასრულებელს.**

იუსტიციის სახალხო კომისარიატი წინადადებას გაძღვეთ ერთი კვირის განმავლობაში დღიდან ამა ცირკულარის მიღებისა, წარმოუდგინოთ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლოს მომწყობ და ზედამხედველობის განყოფილებას ცნობები იმის შესახებ, თუ თქვენთან 1925 წლის განმავლობაში რამდენი აღსრულების ფურცელი და რამდენი სასამართლოს ბრძანება შემოვიდა გადასახდევინებლად:

- 1) 1—10 მანეთამდე, 2) 10—20 მანეთამდე, 3) 20—25 მანეთამდე და 4) 25—30 მანეთამდე.

1926 წლის 13 იანვარი № 485.

იუსტიციის სახალხო კომისარი **ი. ვარძიელი.** სასამართლოს მომწყობი და ზედამხედველობის განყოფილების გამგე **ე. ჩახუნაშვილი.**

**ცირკულარი № 3.**

**სოციალური უზრუნველყოფის სსხ. კომისარიატის სათანადო ხამაზრო ორგანოებს, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოებს და ყველა სსხ. სასამართლოს, გარდა ბორჩალოსი, ახალქალაქის და წალკისა.**

ასლი: უზენაეს სსსამართლს და აჭარის იუსტიციის სსხ. კომისარიატს.

1925 წლ. 5 ნოემბრის № 61 ცირკულარის განსამარტავად იუსტიციის და სოციალური უზრუნველყოფის

სახალხო კომისარიატები წინადადებას იძლევიან სახელმძღვანელოდ მიღებულ იქნეს შემდეგი: აღნიშნულ № 61 ცირკულარს მხედველობაში აქვს ბეითალმანი, კონფისკაციით ჩამორთმეული ქონება, აგრეთვე უპატრონო, ე. ი. ისეთი ქონებაც „რომლის პატრონიც ცნობილი არ არის“ (სამოქ. სამ. კოდ. 68 მუხ.), და სრულიად არ შეეხება უთადარიგოდ შენახულ შენობას. № 61 ცირკულარში შეიპარა რედაქციული შეცდომა და ცნება „უთადარიგო“ იქმნა ხმარებული ცნება „უპატრონოს“ მაგიერ. თანახმად შინაგან საქმეთა და იუსტიციის სსხ. კომისარიატების მიერ 1924 წ. თებერვლის 21-ს გამოცემული ინსტრუქციისა უთადარიგოდ შენახული შენობა შეიძლება ჩამორთმეულ იქმეს მხოლოდ მუნიციპალიზაციით, რის გამოც, მაშასადამე, იგი ვერ გადირიცხება სოციალური უზრუნველყოფის სსხ. კომისარიატის ფონდში.

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი **კ. ხომერიკი.**

იუსტიციის სახალხო კომისარი **ი. ვარძიელი**

18 იანვარი 1926 წ. № 787

**ქ. ტფილისი.**

**ცირკულარულად.**

**აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს და ყველა სახალხო სასამართლოს.**

იუსტიციის სახალხო კომისარიატთან შემდგარ თათბირის თანახმად ამ ახლო მომავალში კომისარიატმა უნდა გამოსცეს „მსჯავრდადებულთა ცნობები“; ამიტომ, რომ მასალა სათანადოთ თავის დროზე იქნეს დამუშავებული და თვით მასალა კი სრული, იუსტიციის სახალხო კომისარიატი წინადადებას გაძღვეთ მიიღოთ ზომები, რათა 1925 წ. დარჩენილი „მსჯავრდადებულთა სტატისტიკური ფურცლები“ წარმოდგენილ იქნეს ორი კვირის განმავლობაში კომისარიატის 1925 წ. 12 მაისის 5692 № ინსტრუქციის მოთხოვნისებთან დაცვით და შემდეგში თავის დროზე დაუგვიანებლად იგზავნებოდეს დასახელებული ფურცლები. გაცნობებთ, რომ სტატფურცლების დაწესებულ დროზე წარმოუდგენლობაში შემჩნეული თანამშრომელნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული დისციპლინარული წესით.

იუსტიციის სახალხო კომისარი **ი. ვარძიელი.**

სასამართლოს მომწყობი და ზედამხედველობის განყოფილების გამგე **ე. ჩახუნაშვილი.**

1926 წ. 27 იანვრის № 1032.



სიკაშულარი № 4.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოებს, ყველა სახალხო სასამართლოს და გამომძიებელს.

ასე: აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს პრაქტიკის და მათ თანაშემწეებს, უზენაეს სასამართლოს, აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის იუსტიციის სახალხო კომისარიატებს და გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის წმუენებულს: ვიქრ-კავკასიის ს. ფ. ს. რ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევს ყველა სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოს, ისეთ შემთხვევაში, როდესაც მას დასკირდება სთხოვოს უცხო სახელმწიფოს ამა თუ იმ სპეციალური დავალების შესრულება, (მაგ., მოწმეების დაკითხვა, უწყების ჩაბარება), თვისი თხოვნა გადმოუზღავენოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს, რომელიც თვითონ მიმართავს სათანადო სახელმწიფოს სოც. საბჭ. რესპ. კავშირის გარეშე საქმეთა სახ. კომისარის ა/კ. ს. ფ. ს. რ. რწმუნებულის მეშვეობით. ყოველ აღნიშნულ შემთხვევაში სასამართლო ან საგამომძიებლო ორგანო ვალდებულია შეადგინოს განსაკუთრებული დადგენილება, რომელშიც უნდა აღინიშნოს, თუ რა საქმეზე, ვინ არის სახელდობრ და საკითხი, ან რა ცნობების მიღებაა საჭირო, ან და ვის უნდა ჩაბარდეს უწყება. ასეთი დადგენილების სათანადოდ შემოწმებული ასლი უნდა წარედგინოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს ყველა დამატებასთან ერთად (ცნობის ფურცელი, უწყება და სხვა.). ყველა აღნიშნული საბუთი უნდა იმდენად სრული და გარკვეული იყოს, რომ დაუბრკოლებლივ შეიძლებოდეს მათი ხმარება საზღვარ გარეთ, უცხო ენაზე გადათარგმნის დროს და სხვა. ამავე წესით, ე. იგი იუსტიციის სახალხო კომისარიატის მეშვეობით, უნდა ეთხოვოს უცხო სახელმწიფოს აგრეთვე დამნაშავეს შეპყრობა ან გაცემა. ამა თუ იმ პირის შეპყრობის ან გაცემის შესახებ იუსტიციის სახალხო კომისარიატისადმი მიმართულ მოთხოვნაში უნდა აღინიშნოს ის კმედობა, რაც ბრალად ედება ან რისთვისაც მსჯავრი გადაეწყვიტა გასაცემ ან შესაპყრობ პირს. აქვე უნდა აღინიშნოს აგრეთვე სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლებიც. ამ მოთხოვნას უნდა დაერთოს საგამომძიებლო ხელისუფლების დადგენილების ასლი იმის შესახებ, რომ შესაპყრობი ან გასაცემი პირი პასუხისგებაშია მიცემული, როგორც ბრალდებული, ან სასამართლოს განაჩენის ასლი, რომლითაც აღნიშნულ პირს, მის დაუსწრებლივ, მსჯავრი აქვს გადაწყვეტილი.

დამნაშავეს გაცემის შესახებ შუამდგომლობის აღძვრა შესაძლებელია მხოლოდ მეტად სერიოზულ შემთხვევებში, როდესაც დამნაშავეს ბრალად ედება განსაკუთრებით მძიმე რამდენაშეული და როდესაც ეჭვს გარეშეა, რომ იგი სწორედ ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე იყოფება.

რაც შეეხება სასამართლოს ცალკე დავალების შესრულებას, შუამდგომლობა ამის შესახებ შეიძლება აღი-

ძრას მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც დავალების შესრულება ეკისრება იმ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს, რომელთანაც სოც. საბჭ. რესპ. კავშირს აქვს ნორმალური დიპლომატიური ან ხელშეკრულებრივი ურთიერთობა. ხოლო უკეთეს დავალება უნდა შესრულებულ იქნეს რაიმე ვადაზე (მაგ. საქმის გარჩევის დღისათვის), ეს ვადა უნდა განისაზღვროს იმისდა მიხედვით, თუ რა დრო დასკირდება მიწერ-მოწერის გავლას მთელ რიგ დაწესებულებათა ხელში. კერძოდ, სოც. საბჭ. რესპ. კავშირის დასავლეთით მოსაზღვრე სახელმწიფოთათვის ეს ვადა არ უნდა იყოს 2 თვეზე ნაკლები; დასავლეთ ევროპის დანარჩენ სახელმწიფოთათვის ვადა უნდა იყოს 3 თვიანი. ხოლო აღმოსავლეთით მოსაზღვრე სახელმწიფოთათვის 4 თვიანი, ხოლო შორეულ აღმოსავლეთისა და ოკეანეს იქეთ მდებარე სახელმწიფოთათვის 6 თვიანი. ყველა შემთხვევაში აღნიშნულთან ერთად იუსტიციის სახ. კომისარიატი წინასწარ განუმარტავს სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოთ, რომ საზღვარგარეთ მიწერ-მოწერის უშუალოდ გავზავნისათვის, იუსტიციის და გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატებისაგან დამოუკიდებელივ, დამნაშავე თანამდებობის პირი პასუხის გებაში იქნება მიცემული დისციპლინარული წესით.

იუსტიციის სახალხო კომისარი ი. ვარძიელი. სასამართლოს მომწყობი და ზედამხედველობის განყოფილების გამგე ე. ჩახუნაშვილი. 1926 წ. 3 თებერვალი № 1318.

სიკაშულარი № 5.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოებთან არსებულ სანოტარო განყოფილებებს, სანოტარო კანტორებს და სანოტარო მოვალეობის ამსრულებელ სახალხო მოსამართლეებს.

იმ წესის შესახებ, რომლითაც სახელმწიფო ბანკის მიერ საპროტესტოდ წარდგენილი თამასუქებისათვის სანოტარო კანტორაში შემოსული თანხები უნდა მიდებულ იქნეს, ჩაბარებული და აღნუსული, აგრეთვე პროტესტქმნილ თამასუქებზე ცნობების შესახებ.

თანხმად სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორის 58 № მომართვისა (1925 წლ. 10 დეკ.) იუსტიციის სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევს სანოტარო კანტორებს და სანოტარო მოვალეობის ამსრულებელ სახალხო მოსამართლეებს სახელმწიფო ბანკის მიერ საპროტესტოდ წარდგენილ თამასუქებზე ანგარიშების გასწორების დროს იხელმძღვანელონ შემდეგ წესით:

1. სახელმწიფო ბანკის მიერ საპროტესტოდ წარდგენილ თამასუქზე ანგარიშის გასასწორებლად, სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ დაწესებულებაში სანოტარო კანტორებს უნდა გაეხსნათ სპეციალური დანიშნულების სახელდახელო ანგარიში იმ სასყიდელისათვის, რომელსაც სახელმწიფო ბანკი გადარიცხვას სანოტარო მოქმედებისათვის, და აგრეთვე იმ თანხებისათვისაც, რაც



ცირკულარი № 6.

ყველა სახალხო სასამართლოს.

გადაიცემა ადგილობრივ შემოსავლად. ამ თანხებს განაგებს სანოტარო კანტორა, რომელიც ამასთან სანოტარო გამოსაღების მიმართ ხელმძღვანელობს ამ.კავკ. ს. ფ. ს რესპუბლიკის სახალხო კომისარათა საბჭოს 1925 წ. მაისის 31-ის დადგენილებით („ზარია ვოსტოკა“ 1925 წ. ივნისის 2—№ 890).

2. სახელმწიფო ბანკი თანხებს გადარიცხავს თამასუქის საპროტესტოდ კანტორაში წარდგენისთანავე თანახმად სანოტარო კანტორის მიერ მიცემულ ქვეთარისა, სადაც აღინიშნება თამასუქის საპროტესტოდ მიღება და შესატანი გამოსაღების რაოდენობა (სანოტაროსი და ადგილობრივისა). სახელმწიფო ბანკი, ქვეთარის მიღების დროიდან არა უგვიანეს ორი დღისა, აცნობებს სანოტარო კანტორას თანხების გადარიცხვას, თანაც აღნიშნავს, რა თამასუქების გამოა ეს თანხები გადარიცხული.

სამჯერ თვეში, ყოველ 10, 20 და თვის უკანასკნელ დღეს სანოტარო კანტორა აცნობებს ბანკის განყოფილებას ადგილობრივ შემოსავალში შესატანი თანხების გადარიცხვას.

3. სახელდახელო ანგარიშზე გადარიცხული თანხები სანოტარო კანტორაში (დარჩენილი ქვეთარების ან ნაწიბურების მიხედვით) ჩაიწერება იმ დღის შემოსავლად, როდესაც თამასუქი მიღებულ იქნა საპროტესტოდ.

4. ყოველი თვის 1-სა და 15-ს სახელმწიფო ბანკი წარუდგენს სანოტარო კანტორას ცნობებს სახელდახელო ანგარიშის ნაშთის შესახებ.

5. მესამე დღეს იმის შემდეგ, რაც სანოტარო კანტორა მიიღებს სახელმწიფო ბანკის მიერ საპროტესტოდ წარდგენილ თამასუქებზე გადასახდელ თანხებს, მან უნდა გაუგზავნოს სახელმწიფო ბანკს სრული და სწორი ცნობები გამოსყიდული თამასუქების შესახებ და თან დაურთოს თამასუქებზე მიღებული თანხების დაწვრილებითი ანგარიში.

6. ცნობებს პროტესტქმნილი თამასუქების შესახებ სანოტარო კანტორა აწვდის სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ დაწესებულებას დადგენილ ფორმით ყოველკვირეულად, არა უგვიანეს ოთხშაბათისა. ეს ცნობები უნდა შეხებოდეს ყველა თამასუქს, რომელსაც კი პროტესტი ექმნა წინა კვირის ორშაბათიდან შაბათამდე, ამ უკანასკნელის ჩათვლით. უკეთუ თამასუქზე ფული ნაწილობრივ იქნება გადახდილი, ეს უნდა აღინიშნოს თვით თამასუქზე, სახელმწიფო ბანკს კი უნდა ეცნობოს მხოლოდ გადაუხდელი თანხა. კანტორა გაუგზავნის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებას ცნობას იმ შემთხვევაშიაც კი, თუ კვირის განმავლობაში პროტესტი არ მოუხდენია.

7. ამა ცირკულარის გამოცემისთანავე იუსტიციის სახალხო კომისარიატის 47 № ცირკულარი (1925 წ. 18 სექტ.) იმ ნაწილში, რომელიც ეხება სახელმწიფო ბანკისათვის პროტესტქმნილი თამასუქების შესახებ ცნობების გაგზავნის ვადას, გაუქმებულად ჩაითვალოს.

იუსტიციის სახალხო კომისარი ი. ვარძიელი.

სასამართლოს მომწყობი და ზედამხედველობი განყოფილების გამგე ე. ჩახუნაშვილი.

1926 წ. თებერვალი.

ასლი: აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს, უზენაეს სასამართლოს და საქარის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის იუსტიციის სახალხო კომისარიატებს.

იმის გამო, რომ ადგილებზე უძნელდებოთ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-III-ე მოწვევის მე-2 სესიის მიერ საადგილ-მამულო დავის განხილვის შესახებ (მიწის კოდ. 161—166 მუხ.) დამტკიცებული დადგენილების ცხოვრებაში გატარება, იუსტიციის სახალხო კომისარიატი, დამატებად თავისი ა. წ. იანვრის 7-ის (№ 278) ცირკულარისა, განმარტავს:

1. რაიონის საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგია მოქმედებს სათანადო სახალხო სასამართლოს უზნის ფარგლებში და არჩევს ყველა ისეთ საქმეს, რაც მიწათსარგებლობას და ხსენებული უზნის ტერიტორიაზე მდებარე მიწების საკითხს შეეხება (იგულისხმება ამ რაიონში შემავალი თემები).

2. რაიონის საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიაში თავმჯდომარეობს სახალხო მოსამართლე, ხოლო წევრებად არიან: ერთი იმ აღმასრულებელი კომიტეტის თემის სასოფლო-სამეურნეო სექციის თავმჯდომარე, რომლის ფარგლებშიაც მდებარეობს სადავო მიწა, და მეორე— იმავე აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წევრად დანიშნული პირი.

3. ამგვარად, საქმის ინტერესის გულისათვის, რაიონის საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიაში საქმეები უმეტეს შემთხვევაში განხილულ უნდა იქნეს ადგილობრივ, სათანადო თემის ფარგლებში. თემში გამგზავრებად სახალხო სასამართლომ თავის დროზე უნდა გაუგზავნოს უწყებები საქმეში მონაწილე პირთ და მოიწვიოს სესიის სხდომაზე თემის აღმასრულებელი კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო სექციის თავმჯდომარე, გარდა ამისა მან უნდა აცნობოს თემის აღმასრულებელ კომიტეტს, რომ საჭიროა აღმასკომის ერთი წევრის გამოგზავნა— სხდომაში მონაწილეობის მისაღებად.

4. ამ სესიებზე სახალხო მოსამართლეს თან მიჰყვება რაიონის საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიის მდივანი, რომელიც, თანახმად მიწის კოდექსის 166 მუხლისა, ირიცხება მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის შტატში და მისგანვე იღებს ჯამაგირს.

5. ამ მისვლა-მოსვლის ხარჯს, თანახმად საზოგადო წესისა, გაიღებს მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი;

6. რაიონის საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიის კანცელარია მოთავსებულია სახალხო სასამართლოს კანცელარიასთან;

7. რაიონისა და მაზრის საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიები საქმეებს განიხილავენ სამოქალაქო სასამართლის საპროცესო კოდექსის წესისამებრ იმ გამოწესებით, რაც დაწესებულია მიწის კოდექსის 161—166 მუხ.





8. საქმის წარმოება კანკელარიაში ისეთივეა, როგორც სახალხო სასამართლოში.

9. მაზრის საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგია თავის სხდომებს აწყობს (ოლქის სასამართლოს რწმუნებულის) სახალხო მოსამართლის სხდომების დარბაზში.

10. ოლქის სასამართლოს რწმუნებულთან განწესებულია მდივანი მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის შტატით.

11. როცა მაზრის საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგია იხილავს, როგორც მეორე ინსტანცია, საჩივარს რაიონის საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიის ისეთ გადაწყვეტილებაზე, რომლის გამოტანის დროს ამ კოლეგიაში თავმჯდომარეობდა ოლქის სასამართლოს რწმუნებული სახალხო მოსამართლე, მაზრის საადგილ-მამულო სასამართლოში თავმჯდომარეობის მოვალეობა დაეკისრება იმავე მაზრის ერთ-ერთ უახლოეს სახალხო მოსამართლეს, ოლქის სასამართლოს რწმუნებულის მოწვევით.

გაცნობებთ რა ზემოაღნიშნულს იუსტიციის სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევს სახალხო მოსამართლეებს მიიღონ ღონისძიება, რათა რაიონის საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიებში ინიშნებოდეს საქმეები განსახილველად, ხოლო რწმუნებულებს—დაუყოვნებლივ მოსთხოვონ აღმასკომებს თანხები თემში მისვლამოსვლისათვის და რაიონის და მაზრის საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიების მდივნების შესანახად.

უკეთუ აღმასკომი თავის დროზე არ გაიღებს საჭირო თანხას, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს.

იუსტიციის სახალხო კომისარი **ი. ვარძიელი.**

სასამართლოს მომწყობი და ზედამხედველობის განყოფილების გამგე **ე. ჩახუნაშვილი.**

1926 წ. თებერვალის 10.

**ცირკულარი № 7.**

**აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოებს და ოლქის პროკურორებს.**

ასლი: უზენაეს სასამართლოს, აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის იუსტიციის სახალხო კომისარიატებს.

გასულ წლის ტერშეკრების (სამხედრო სასწავლო შეკრების) დროს გამოირკვა, რომ ზოგიერთი სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა უფროსები თავის დროზე არ ანთავისუფლებდნენ სამსახურიდან ტერიტორიალურ შეკრებაზე გაწვეულ პირთ, რითაც აფერხებდნენ ახალი ტერიტორიალურ, სამილიციო სისტემის განმტკიცებას და გამაგრებას. ასეთი მოქმედების გამართლება იმ მოსაზრებით, რომ გაწვეული თანამშრომლები დატვირთული არიან საქმეებით, ან მათი განთავისუფლება გვიანდება საქმეების სხვაზე გადაბარებით და სხვა მიზეზებით, სრულიად მიუღებელია, ვინაიდან სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის მე-90--ე მუხლის ძალით ზემოხსენებული გარემოებით გამოუცხადებლობა არ ითვლება საპატიო მიზეზათ და ასეთი ამრიდებლები იღვენიან სისხლის სამართლის წესით.

ზემოაღნიშნულის გამო წინადადებას გაძლევთ თქვენი პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ მიიღოთ ზომები, რათა ის პირები, რომელნიც ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ სამხედრო სასწავლო შეკრებაზე დაუყოვნებლივ იქმნენ განთავისუფლებულნი სამსახურიდან, შეკრების პუნქტზე გამოსაცხადებლად.

ამ ცირკულარის დარღვევა ჩაითვლება ხელისუფლების გადაშეცემათ და დამნაშავენი პასუხისმგებაში იქნებიან მიცემული არსებული კანონების მიხედვით.

იუსტიციის სახალხო კომისარი **ი. ვარძიელი.**

სასამართლოს მომწყობი და ზედამხედველობის განყოფილების გამგე **ე. ჩახუნაშვილი.**

10 თებერვალი 1926 წ. № 1582.

**ცირკულარი № 8.**

**აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოებს, შრომის სასამართლოს, ყველა სახალხო სასამართლოს.**

ასლი: უზენაეს სასამართლოს.

ამა წლის მარტის 8-ს ისე, როგორც წინა წლებში, გაიმართება ქალთა დღე. საერთაშორისო კონგრესების დადგენილებით კომუნისტური პარტია აწყობს ამ დღეს ყველა ქვეყნებში, ამიტომ ეს არ არის მარტო ქალთა საქმე; ყველა საბჭოთა დაწესებულება და აგრეთვე იუსტიციის სახალხო კომისარიატის ორგანოები უნდა მოემზადონ ამ დღისათვის და შეძლებისდაგვარად მიიღონ მონაწილეობა მის მოწყობაში.

ოლქისა და სახალხო სასამართლოს მონაწილეობა უნდა გამოიხატოს მასში, რომ დააჩქარონ ისეთი სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა გადაწყვეტა, სადაც მხარეებად გამოდიან მშრომელი ქალები.

ამისათვის წინადადებას გაძლევთ მიიღოთ სასწრაფო ღონისძიება, რათა ასეთი საქმეები (სადაც ბრალდებული ქალია, აგრეთვე განქორწინების, ბავშვების ბედობის, აღმენტებისა და სხვა საქმეები განხილულ იქნენ არა უგვიანეს ა. წ. მარტის 15-სა.

იუსტიციის სახალხო კომისარის მოადგილე **კ. ოკუჯავა.**

სასამართლოს მომწყობი და ზედამხედველობის განყოფილების გამგე **ე. ჩახუნაშვილი.**

1926 წ. 16 თებერვალი. № 1810.

**ცირკულარი № 9.**

**ყველა სამაზრო რწმუნებულს.**

სასამართლოს წყობილების დებულების 80 მუხლის პუნქტ. „გ“ თანახმად ოლქის სასამართლოს რწმუნებულს დაეკისრება შეასრულოს ოლქის სასამართლოს წევრის სასამართლო მოვალეობა მის ქვემდებარე საქმეთა სფეროში, ოლქის სასამართლოსაგან განსაკუთრებულად დაშორებულ მაზრებში, ოლქის სასამართლოს პლენუმის ყოველ ცალკე შემთხვევისათვის სპეციალურ დადგენილი-





ბით, რაც დამტკიცებულ უნდა იქნეს იუსტიციის სახალხო კომისრის მიერ. იუსტიციის სახალხო კომისარიატი წინადადებას გაძლევთ იმ საქმეების წარმოების, დროს მიიღოთ სახელმძღვანელოდ შემდეგი:

1. ოლქის სასამართლოსაგან შემოსული სამოქალაქო საქმეები უნდა ჩაიწეროს საერთო სამაგიდო რეესტრში, ცალკე დანარჩენი საქმეებისა, რისთვისაც წიგნის ბოლოში გამოყოფილი უნდა იქნეს რამდენიმე ფურცელი;

2. სასტიკად დაკულ იქნეს წესი, რომელიც აღნიშნულია ს. ს. ს. კ. 79 და 82 მუხლით;

3. ამ საქმეების განსაჩივრება შეიძლება ერთი თვის განმავლობაში სამ. ს. ს. კ. 208 მუხლის თანახმად;

4. სამაზრო რწმუნებული აძლევს აღმასრულებელ ფურცელს ოლქის სასამართლოს სახელით და გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ საქმეს გადაგზავნის ოლქის სასამართლოში;

5. საკასაცია ანუ კერძო საჩივრის შემოსვლის შემდეგ მთელ საქმეს გზავნის ოლქის სასამართლოში, რომელიც აღნიშნავს რა თავის რეესტრში საქმეს შემოსვლას და გადაწყვეტილების შინაარსს, უდგენს საქმეს უზენაეს სასამართლოს;

6. ამ საქმეებზე სახალხო მსაჯულებათ გამოწვეულ უნდა იქნენ ის მსაჯულები, რომელნიც არჩეული არიან ოლქის სასამართლოს გამსვლელ სესიებში მონაწილეობის მისაღებად.

იუსტიციის სახალხო კომისარი ი. ვარძიელი.

სასამართლოს მომწყობი და ზედამხედველობის განყოფილების გამგე ე. ჩახუნაშვილი.

1926 წ. 3 მარტი. № 2473.

ცირკულარი № 10.

ყველა სასამართლოს აღმასრულებელს.

ასდი: ადმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოებს, უზუნაეს სასამართლოს, აფხაზეთის ს. ს. რ., აჭარისტანის ს. ს. ა. რ. და სსმსრეთ-ოსეთის ა. რ. იუსტიციის სახალხო კომისარიატებს.

სასამართლოს აღმასრულებელთა უბნების რევიზიის დროს აღმოჩნდა, რომ სასამართლოს აღმასრულებლები

სასამართლოს გადაწყვეტილების და დადგენილების აღსრულების დროს თანახმად ნიხრისა წარმოდგენილ ხარჯებიდან ისევე ძველებურად იღებენ თავის სასარგებლოდ 50%, მიუხედავად 1926 წ. 6 იანვრის გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ში გამოქვეყნებულ ა/კ. ცაკის და სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებისა, რომლის ძალით ისინი ვალდებული არიან ამ თანხებადან 75% შეიტანონ ხაზინაში და მხოლოდ 25% დაიტოვონ თავის სასარგებლოდ.

ყველა თანამშრომელმა უნდა იცოდეს, რომ თანახმად ა/კ. ცაკის და სახკომისართა საბჭოს 1925 წ. 24 მარტის დადგენილების 1 და მე-2 მუხ. (იხ. „ზარია ვოსტოკა“ № 833—1925 წ. 24 მარტის) დადგენილება ა/კ. ცაკის, მისი პრეზიდუმის, სახ. კომისართა საბჭოსი და უმადლეს სამეურნეო საბჭოსი იბეჭდება რუსულად, ქართულად, სომხურად და თურქულ ენაზე გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ში, „კომუნისტი“-ში, „მარტაკოი“-ში, „ენიფიკირ“-ში და შედის ძალაში ა/კ. ფედერაციის შემავალ ცალკე რესპუბლიკების, ავტონომიურ რესპუბლიკების და ავტონომიურ ოლქების მთავარ ქალაქებში და ამ ქალაქების მაზრებში დღიდან დასახელებულ გაზეთების სათანადო ნომრის მიღებისა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მიერ, დანარჩენ ქალაქებში და მაზრებში-კი დღიდან ამ ნიხრის მიღებისა ქალაქის და მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის მიერ.

ამიტომ წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ მიიღოთ შესასრულებლად ზემოხსენებული დადგენილება და იღოთ თქვენს სასარგებლოდ მხოლოდ 25%, 75%-კი შეიტანოთ სახელმწიფოს სასარგებლოდ. რაც შეეხება უკანონო აღებულ 25% ზედმეტ თანხას ქ. თბილისის და მის მაზრის სასამართლოს აღმასრულებლებმა უნდა დაუბრუნონ ხაზინას ა/წ. 6 იანვრიდან, დანარჩენებმა კი იმ დღიდან, როდესაც „კომუნისტი“-ს და „ზარია ვოსტოკა“-ს 6 იანვრის ნომერი მიღებულ იქნა სათანადო ქალაქის და მაზრის აღმასკომების მიერ. ამასთანავე ამ ფულის შეტანის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებთ სასამართლოს მომწყობ განყოფილებას.

იუსტიციის სახალხო კომისარი ი. ვარძიელი.

სასამართლოს მომწყობი და ზედამხედველობის განყოფილების გამგე ე. ჩახუნაშვილი.

5 მარტი 1926 წ. № 2578.

გამომცემელი

ს. ს. ს. რ. იუსტიციის სახალხო კომისარიატი და იურიდიული საზოგადოება.

პასუხისმგებელი რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.



